კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით ჯავახიშვილი

ეკონომიკური ინტეგრაციის გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს „ეკონომიკური ინტეგრაციის“ გავლენის აღწერას საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე. „ეკონომიკური ინტეგრაცია“ იმდენად გლობალური საკითხია, რომ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ სფეროებზე: სოციოლოგიაზე, მენეჯმენტზე, კომუნიკატივისტიკაზე, პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგიაზე და ა.შ., განსაკუთრებით კი _ საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე, რომელიც განუყოფელია სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესებისგან. ნაშრომში წარმოდგენილია მოკლე ისტორია საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა, დახასიათებულია საგარეო ეკონომიკური კონცეფციები და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სკოლები. ამის შემდეგ წარმოდგენილია საერთაშორისო ბიზნესის ზოგადი დახასიათება, დადგენილია განმასხვავებელი ნიშნები ნაციონალურსა და საერთაშორისო ბიზნესს შორის, გამოყოფილია საერთაშორისო ბიზნესის მიზნები და ფორმები, ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ძირითად ფაქტორებსა და ტენდენციებზე, მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები.

საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლამ საშუალება მოგვცა საერთაშორისო ეკონომიკური კრიტერიუმებით შეგვეფასებინა საქართველოში მიმდინარე ბიზნესპროცესები და გვემსჯელა საქართველოს ბიზნესზე ევროინტეგრაციასთან მიმართებაში.

ნაშრომში გამოყენებულია უცხოელ და ქართველ მეცნიერთა შრომები ეკონომიკისა და კონკრეტულად ბიზნესის საკითხებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და სტატისტიკური მონაცემები. ამ მასალის დამოწმება განაპირობებს „ეკონომიკური ინტეგრაციის“ პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. ნაშრომში წარმოჩენილია საქართველოს მდგომარეობა ახალშექმნილ რეალობაში, ქართული ბიზნესის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა, სხვადასხვა ქვეყანასთან ბიზნესოპერაციების რეალური შესაძლებლობა და მისი მომავალი განვითარების პერსპექტივები.

Davit Javakhishvili

Annotation

The paperwork aims to describe the impact of "economic integration" on the development of international business. "Economic integration" is such a global issue that affects a number of areas of public life such as: sociology, management, communicative studies, the psychology of political communication and etc., especially on the development of international business, which is inseparable from the ongoing processes in the social sphere. The paperwork presents a brief history of the development of international business, characterizes foreign economic concepts and the schools of international economic integration. Afterward the general characteristics of international business are presented, distinctive signs are established between national and international business, the goals and forms of international business are separated, the focus is made on the main factors and trends of international business development, examples from different countries are provided.

The study of the international business environment gave us opportunity to evaluate the current business processes in Georgia according to international economic criteria and to discuss Georgia's business in relation to the European integration.

In the paperwork are used works from foreign and Georgian scientists on economics and in particular on business issues, also researches and statistical data of international organizations. Based on the above mentioned material, it is possible to identify the strengths and weaknesses of the "economic integration" process. The paperwork presents

the situation in Georgia in the newly created reality, entrance in the international area by Georgian business, the real possibility of business operations with different countries and the prospects for its future development.

სარჩევი

შესავალი 5

I თავი. საგარეო ეკონომიკური კონცეფციები და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სკოლები 13

II თავი. საერთაშორისო ბიზნესის ზოგადი დახასიათება 22

2.1. ნაციონალური და საერთაშორისო ბიზნესის განსხვავება 25

2.2. საერთაშორისო ბიზნესის მიზნები და ფორმები 26

2.3. საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ძირითადი ფაქტორები და ტენდენციები 29

III თავი. საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლა 34

IV თავი. საქართველოს ბიზნესი ევროინტეგრაციასთან მიმართებაში 40

დასკვნები 52

გამოყენებული ლიტერატურა 59

შესავალი

თემის აქტუალობა. სამყაროში მიმდინარე გლობალურმა სისტემურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა არა მარტო მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერებაც, გვაიძულა ახლებურად შეგვეხედა ადამიანის კომუნიკაციური ურთიერთობისათვის, ახლებურად გაგვეაზრებინა ეკონომოკის სფეროში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, პრაქტიკულად გამოგვეცადა დასავლეთში გამოყენებული კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები. დღეს აქტიურ მიმოქცევაში შემოდის ტერმინი „ეკონომიკური ინტეგრაცია“, რომლის გააზრებას თავისუფალი „საკომუნიკაციო სივრცის“ წარმოქმნას უკავშირებენ. პოსტსაბჭოთა პერიოდში, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების სამართლებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ტერმინმა „ეკონომიკური ინტეგრაცია“ რეალური შინაარსი შეიძინა და კვლევის ახალ მიმართულებად ჩამოყალიბდა. მეცნიერების პარადიგმალური განვითარების შედეგია, რომ ცნება გასცდა თავდაპირველ ეკონომიკურ კონტექსტს და აქტუალური გახდა ისეთი სფეროებისთვის, როგორიცაა, სოციოლოგია, მენეჯმენტი, კომუნიკატივისტიკა, პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგია და ა.შ. აღნიშნულ მიმართულებებს აერთიანებთ ის, რომ ეს ეკონომიკურ-კომუნიკაციური სივრცე განიხილება როგორც ღია თვითორგანიზებადი სისტემა, რომელიც განუყოფელია სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესებისგან. გლობალიზაციის პროცესები პირველ რიგში შეეხო ეკონომიკის სფეროს, რომელიც ყველაზე ზუსტად ასახავს თანამედროვე ცხოვრების რიტმსა და ტენდენციებს და ამავდროულად კულტურათა კონტაქტურ ველს წარმოადგენს. თვით ტერმინ „გლობალიზაციას“ თავდაპირველად ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მხოლოდ შემდეგ მიიღო მან უფრო ფართო მნიშვნელობა. კულტურათა ინტერაქციის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი მიმართულება, როგორიცაა ბიზნესის სფერო. ეს ის სეგმენტია, რომელიც კონტაქტური ველის მაქსიმალური გაფართოებისაკენ მიისწრაფის და

ცდილობს არ შემოიფარგლოს ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით. ბიზნესის ფენომენისადმი ინტერესს ადასტურებს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იმატა ბიზნესის კვლევასთან დაკავშირებულმა პუბლიკაციების რაოდენობამ. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი ბიზნესს წარმართავს საერთაშორისო ოპერაციების განხორციელებისკენ. კომპანიები აღარ მოქმედებენ მხოლოდ თავისი ქვეყნის ფარგლებში და ნებისმიერ ბიზნესოპერაციას აწარმოებენ იმ ქვეყნებში, რომლებშიც სურთ (ბიზნესკონიუნქტურის გათვალისწინებით). საერთაშორისო ვაჭრობის, ინვესტიციების და ტექნოლოგიების განვითარება სწორედ საერთაშორისო ბიზნესში მონაწილე კომპანიების ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული. საერთაშორისო ბიზნესი კი თავისი განვითარების პიკს აღწევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, რომელთა საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო ბიზნესის სამივე ფორმას: საერთაშორისო ვაჭრობას, საპორტფელო და უცხოურ ინვესტიციებს. სწორედ ტრანსნაციონალური კომპანიებია გლობალიზაციის გაღრმავებისა და განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ისინი ხელს უწყობენ „ეკონომიკურ ინტეგრაციას“.

კვლევის მიზანი. აუცილებელია დადგინდეს, თუ რა კავშირშია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესთან და გამოვლინდეს ამ საქმიანობის შედეგები თითოეული ქვეყნისთვის.

საქართველო, ისევე როგორც სხვა ბევრი ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზე უკვე პოლიტიკურად დამოუკიდებელი სტატუსით გამოდის, ახალმა რეალობამ კი ახალი პარტნიორული ურთიერთობა მოიტანა, მათ შორის, ისეთ ქვეყნებთან, რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოებას ახლო წარსულში წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ეკონომიკური სფეროს კონტაქტური ველის გაფართოებამ, რასაც მოჰყვა კომუნიკაციის მონაწილეთა ეთნო-სოციო კულტურული ტიპების გამრავალფეროვნება, გამოიწვია ბიზნეს - სტრატეგიების ახალ, შეცვლილ პირობებში მოდერნიზაციის აუცილებლობა. ის, რაც შიდაეკონომიკურ კომუნიკაციაში პარტნიორული ურთიერთობის

ჩამოყალიბებულ ტაქტიკას ეყრდნობოდა და ითვალისწინებდა ქვეყანაში მიღებულ ნორმებსა და ღირებულებებს, სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, ხშირ შემთხვევაში, გამოუსადეგარი ხდებოდა, ვინაიდან სხვა კულტურის წარმომადგენლები ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის შეფასებისას ხელმძღვანელობდნენ განსხვავებული ღირებულებებითა და მიმართებებით. შექმნილ ახალ რეალობაში უაღრესად აქტუალურია ბიზნესის წარმოების კომუნიკაციური ეთნოსტილების შეჯერება და მათი კროსკულტურული ანალიზი. კომუნიკაციის ეთნოსტილი, ანუ ნაციონალური სტილი, ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული, კულტურით განპირობებული და ტრადიციით განმტკიცებული კომუნიკაციური ქცევის ტიპია, რომელიც კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში უპირისპირდება კონტაქტური კულტურის ანალოგიურ სისტემას და ურთიერთობა ახლებურ (თანამშრომლობისა თუ დაპირისპირების) რეჟიმში გადაჰყავს.

დასმული ამოცანები. ნაშრომში დასმული ამოცანები არის შემდეგი: 1. ვიმსჯელოთ საგარეო ეკონომიკურ კონცეფციებსა და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სკოლებზე, რათა დავინახოთ საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების საფეხურები და განვსაზღვროთ, რა საფეხურზე იმყოფება საქართველო, რა გამოტოვა მან თავისი ნელი განვითარების მანძილზე და როგორ შეიძლება დღეს მისი ამოვსება, ნაკლის შევსება, რათა ქვეყანა ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებიდან ამოვარდნილი არ დარჩეს. 2. დავახასიათოთ საერთაშორისო ბიზნესი, რათა წარმოვაჩინოთ ქართული ბიზნესისა და საერთაშორისო ბიზნესის განსხვავება; საერთაშორისო ბიზნესის მიზნები და ფორმები მივუსადაგოთ ქართულ ბიზნეს-გარემოს, მასვე შევუფარდოთ საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ძირითადი ფაქტორები და ტენდენციები. ეს ყოველივე გვჭირდება იმისათვის, რომ საქართველომ დაიკვიდროს ადგილი საერთაშორისო ბიზნესში და მოახდინოს ეკონომიკური ინტეგრაცია საერთაშორისო ბიზნეს-გარემოში. 3. ჩვენს კვლევაში ხელს შეგვიწყობს საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლა, სტატისტიკური მონაცემების წარმოჩენა, საერთაშორისო კვლევების გათვალისწინება და მათში

საქართველოს ადგილის ჩვენება, რაც დაგვანახვებს ჩვენი ქვეყნის მომავალში გასავლელ გზას. 4. ეკონომიკური ინტეგრაციის გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე ზალზე ფართო თემაა, ამიტომ მას ვაკონკრეტებთ საქართველოს ბიზნესის განხილვით ევროინტეგრაციასთან მიმართებაში, რადგან ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის უპირველესი ამოცანა ევროინტეგრაცია როგორც პოლიტიკური, ასევე ბიზნესისი თვალსაზრისითაც, ხოლო შემდეგ მსოფლიო ბუზნესთან ინტეგრაცია, თუმცა ეს ორივე მოვლენა ერთმანეთს არ გამორიცხავს.

საკვლევი საგანი და ობიექტი. ჩვენი საკვლევი საგანი და ობიექტი იმდენადაა საერთაშორისო ბიზნესგარემო და ევროპული ბიზნესგარემო, რათა განვსაზღვროთ ქართული ბიზნესგარემოს ადგილი მათში და ხელი შევუწყოთ ეკონომიკური ინტეგრაციის დადებით ზეგავლენას, დავსახოთ პერსპექტივები, უპირველესად კი ვიზრუნოთ ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს არ შეუშლის ნაციონალურ ბიზნესის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას. გარდამავალი ქვეყნების (ამ შემთხვევაში საქართველოს) კანონმდებლობის სიღრმოსეული ანალიზი სავაჭრო პოლიტიკის მხრივ, თუ რამდენად ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა გააჩნია ქვეყანას ტრანსნაციონალური კომპანიების მოსაზიდად, ასევე ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკვლევი საგანია. ამის შესახებ განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას მე-4 თავში _ „საქართველოს ბიზნესი ევროინტეგრაციასთან მიმართებაში.

კვლევისას გამოყენებული მეთოდი/მეთოდები. ნაშრომში განხილულია საგარეო ეკონომიკური კონცეფციები და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სკოლები, მათ მიერ შემუშავებული ეკონომიკური სისტემების ფორმირების მეთოდოლოგიური ასპექტები, ურთიერთობების ძირითადი ფორმები, მათი განვითარების სპეციფიკა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სხვადასხვა თეორიული პრინციპები, რომლებიც ძირითადად მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. უპირველესად ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სტრუქტურულ კონცეფციაზე, რომელიც აკრიტიკებს საქონლის გადაადგილებისა და წარმოების ფაქტორების

სრული ლიბერალიზაციის იდეას და „ეკონომიკური ინტეგრაციის“ ცნებას განიხილავს, როგორც ინტეგრირებადი ქვეყნების ეკონომიკების ღრმა სტრუქტურული გარდაქმნის პროცესს.

განხილულია ინსტიტუციური სკოლის მეთოდები ფირმის თეორიის, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და მათი ეფექტური ფუნქციონირების პრიზმაში; ამ სკოლის ეკონომიკურ თეორიაში გამოკვეტილი ორი ძირითადი მიდგომა ინტეგრაციის შესწავლასთან დაკავშირებით: ტრადიციული ტექნოლოგიური და თანამედროვე ეკონომიკური (ტრანსაქციული).

ნაშრომში ვეყრდნობით ინტეგრაციის ტრანსაქციური კონცეფციასაც, რომლის თანახმად, რესურსების წარმართვა დამოკიდებული ხდება მწარმოებელზე. ინტეგრაციის შინაარსობლივ მხარეს წარმოადგენს არა ტექნოლოგიური, არამედ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებასთან და ბაზრის შიდაორგანიზაციით ჩანაცვლებასთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ საბაზრო სკოლას, რომლის მეთოდოლოგიით, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს იმ გარკვეულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ხორციელდება გაერთიანებათა ტერიტორიაზე საქმიანობის დროს სუბიექტთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ხოლო საქონელთა გადანაცვლების წარმოების ფაქტორთა ლიბერალიზაცია ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ჩვენი ინტერესის ფარგლებში შემოდის საბაზრო-ინსტიტუციონალური ანუ ნეოლიბერალური სკოლის თეორიული პრინციპებიც, რომლის წარმომადგენლები თვლიან, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი ჰარმონიულად უნდა ათავსებდეს ორ ურთიერთშემავსებელ მიდგომას, როგორც სახელმწიფო, ასევე საბაზრო რეგულირებას. ასევე გარკვეულ ყურადღებას ვუთმობთ დირიჟიზმის, ნეოკეინსიანელთა, ფუნქციონალიზმის ნეოფუნქციონალიზმის წარმომადგენელთა თეორიულ მოსაზრებებს; ევროპული ინტეგრაციის განვითარების რიგ მოდელებს, მათ შორის ვ. შტოიბლეს „ძლიერი

ბირთვის თეორიას“, ფ. მიტერანის „კონფედერაციის კონცეფციას“, ვ. ჟისკარდესტენისა და ჰ. შმიდტის ევროკავშირის „ცენტრალური ჯგუფის“ შექმნის იდეას, ჟ. დელორის „კონცენტრული წრეებისა“ და „ევროპული ავანგარდის“ თეორიებს. ამ მოდელების ანალიზის საფუძველზე წარმოვადგენთ ცნობილ მკვლევარ _ ო. მისკოს_ მიერ გამოყოფილი „ეკონომიკური ინტეგრაციის“ ძირითად ნიშნებს.

როგორც ვხედავთ, კვლევას საფუძვლად დაედო ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ბიზნესთან დაკავშირებული თეორიული პრინციპები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდები და ინსტრუქციები. გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების თეორიული და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომები. კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, ეკონომიკური განვითარებისა და თამანშრომლობის ორგანიზაციისა და სხვა ორგანიზაციების მასალები, ასევე, ქართულ და უცხოურ პერიოდიკაში გამოქვეყნებული კვლევები. სადიპლომო ნაშრომში გამოყენებულია აბსტრაქტულ-ლოგიკური, სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის, სტატისტიკური ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ანალოგიის, სისტემური მიდგომებისა და სხვა მეთოდები.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა. „ეკონომიკურ ინტეგრაციის“ კვლევის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავალი პრაქტიკული განვითარებისათვის ეკონომიკის დარგში; აქედან გამომდინარე, აუცილებელია დადგინდეს, თუ რა კავშირშია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესთან და გამოვლინდეს ამ საქმიანობის შედეგები თითოეული ქვეყნისთვის. ეს საკითხი სრულყოფილადაა ასახული ნობელის პრემიის ლაურეატის _ ჯოზეფ სტიგლიცის _ ნაშრომებში, რომელთაც ჩვენ ვეყრდნობით. მისმა შრომებმა წარმოაჩინეს გლობალიზაციის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. ასევე მნიშვნელოვანია სხვა მეცნიერთა გამოკვლევები: ჯ. ბაგვატის, ნ. გასტონის, ა. დრეჰერის, ქ. იანლინგის, თ.

ლევიტის და სხვათა. ქართველ მეცნიერთაგან კი საყურადღებოა ა. აბრალავას, რ. გველესიანის, ო. გიგიაშვილის, რ. გოგოხიას, ე. ეთერიას, ი. მესხიას, ე. მექვაბიშვილის, ვლ. პაპავას, ნ. ხადურისა და სხვათა ნაშრომები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისგან. ჩემ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი საგარეო ეკონომიკური კონცეფციები და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სკოლები, მათი თეორიების გავლენა დღევანდელ საერთაშორისო ინტეგრაციაზე, გლობალიზაციის პირობების გათვალისწინებით. ნაჩვენებია გარდამავალი ქვეყნების, ძირითადად საქართველოს, სავაჭრო პოლიტიკა ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და, ზოგადად, ევროეინტეგრაციის მიმართ. სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და განვითარების პერსპექტივები.

მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები. ნაშრომის წერისას გამოვიყენე შემდეგი მასალა, ანუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ეყრდნობა სტატიებს: 1. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“, თბილისი, 2001; 2. ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 2004; 3. შენგელია თ. გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის გარემო საქართველოში, კრებ. „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“, თბილისი, 2012; 4.

აგრეთვე საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სტატიები: 1. McKinsey A. Global Survey, An Executive Take on the Top Business Trends – www.mckinseyqurterly.com.article_print.aspx?l2=21&L3=114&ar=1754; 2. Multinationals Come Into Their Own//Financial Times.2000.December 6; 3. Rugman A.M., Verbeke A. A Perspective on Regional and Global Strategies of Multinational Enterprises // Journal of International Business Studies. 2004. № 35; 4.Truman E. G-20 reforms of the International monetary System: An Evalution, November, 2011; 5. WTO. World Trade Report 2008. P. xviii–xix, 84. და სხვ.

გამოყენებული გვაქვს შემდეგი წიგნები: 1.პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002; 2.სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბილისი, 2007; 3.საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, 2009 წ; 4. Мисько О., Международная экономическая интеграция.Спб.2015. 5. Пасек Н., Торнайли Д. Развивающиеся рынки. Уроки успешной деятельности и перспективы развития различных рынков. М.: ЗАО «Олимп-Бизнес», 2006.

ვისარგებლეთ შემდეგი ინტერნეტ-საიტებით: 1. http://germany.mfa.gov.ge/index.php?lang–id=GEO&sec–id=

2.http://www.heritage.org/index/country/georgia

წყაროდ გამოყენებულია: „მემორანდუმი“ [ისტორიული დოკუმენტი], კრებულიდან: საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო ი. ტაბაღუამ, თბილისი 1975.

I თავი. საგარეო ეკონომიკური კონცეფციები და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სკოლები

„ეკონომიკური ინტეგრაციის“ საფუძვლიანი კვლევა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყეს. 1960-იანი წლების შუა ხანებში ფრანგმა, ინგლისელმა და იტალიელმა ეკონომისტებმა (გ. მირტალი, ა. მარშალი, ჩ. ქინდლბერგერი და სხვები) საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის **სტრუქტურული კონცეფცია** წარმოადგნეს. მათ გააკრიტიკეს საქონლის გადაადგილებისა და წარმოების ფაქტორების სრული ლიბერალიზაციის იდეა ინტეგრირებულ ასოციაციაში იმის გათვალისწინებით, რომ ამას შეეძლო გამოეწვია დისბალანსი წარმოების განთავსებისა და შემოსავლის უთანასწორო განაწილების საკითხში. სტრუქტურალიზმის წარმომადგენლების მიერ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია განიხილებოდა, როგორც ინტეგრირებადი ქვეყნების ეკონომიკების ღრმა სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი, რომელიც ტრანსნაციონალიზაციაზე იყო დაფუძნებული. სტრუქტურალიზმის თეორიის თანახმად, ინტეგრაციას აქვს აშკარად გამოხატული სოციალური შეფერილობა: ის ემსახურება თანამედროვე საზოგადოების გაუმჯობესების საქმეს _ უზრუნველყოფს მეტ სოციალურ თანასწორობას, სხვადასხვა ქვეყნებისა და ტერიტორიების არათანაბარი ეკონომიკური განვითარების აღმოფხვრას და ზრუნავს საყოველთაო სიკეთეზე.

პირველი სპეციალური გამოკვლევები „ეკონომიკურ ინტეგრაციასთან“ დაკავშირებით დასავლურ წყაროებში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა. **ინსტიტუციური სკოლის** მიერ აღნიშნული პროცესი დღეს უპიტარესად განიხილება ფირმის თეორიის, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და მათი ეფექტური ფუნქციონირების პრიზმაში. 1960-1990-იან წლებში ამ სკოლის ეკონომიკურ თეორიაში აშკარად გამოიკვეთა <u>ორი ძირითადი მიდგომა ინტეგრაციის შესწავლასთან დაკავშირებით:</u> **ტრადიციული ტექნოლოგიური** და **თანამედროვე ეკონომიკური** (ტრანსაქციული). პირველი მიდგომის მომხრეები

ინტეგრაციას ხსნიან მისი ტექნოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე. მათი აზრით, ინტეგრაციული ტიპის ფორმირებების მთავარ არსს წარმოადგენს ტექნოლოგიური ერთიანობა, წარმოების ფუნქციონირების ტექნოლოგიური პირობები, კერძოდ: ეკონომია მასშტაბზე, ბაზარზე შესვლისას არსებული ბარიერები და სხვ. ამ აღნიშნულ მიმართულებას იკვლევდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან რ. ბორკი, რ. ბლეირი, დ. კაზერმანი. საანალიზო პროცესის არსის კვლევის მეორე მიმართულება, რომელიც თანდათანობით უფრო ფართო მასშტაბებს იღებს, დაკავშირებულია რ. კოუზის, ო. უილიამსონის, დ. ნორტის, კ. ეროუს და ინსტიტუციური სკოლის ახალი მიმართულების სხვა წარმომადგენლებთან, რომლებიც იკვლევენ ე.წ. ტრანსაქციული ეკონომიკის თეორიას. ამ თეორიის მიხედვით, ინტეგრაცია თავის ასახვას ჰპოვებს მსხვილი საწარმოო კომპლექსების ფორმირებაში, რომელთა შიგნით მნიშვნელოვნად ძლიერდება წარმოების ცენტრალიზაცია, რაც ქმნის მეტი გეგმაზომიერების პირობებს, აძლიერებს კოოპერაციის მონაწილეთა შორის უშუალო კავშირების საზოგადოებრივ ხასიათს. თეორია, რომლის მიხედვითაც საქონლის გაცვლა დაკავშირებულია მის ღირებულებასთან, ჩანაცვლებულია აქტივობითა და მისი შედეგებით. ამ მიდგომის მომხრეებმა წამოაყენეს **ინტეგრაციის ტრანსაქციური კონცეფცია**. ამ კონცეფციის მიხედვით, ინსტიტუციური თეორია არის სისტემა, რომლის თანახმად რესურსების წარმართვა დამოკიდებული ხდება მწარმოებელზე. ამასთან დაკავშირებით ვაზუსტებთ ტერმინების _ „კომბინაცია“ და „ინტეგრაცია“ _ მნიშვნელობას. მათ ლიტერატურაში შესაბამისად უწოდებენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას. ასე მაგალითად, კომბინაცია გვაქვს მაშინ, როდესაც ტრანსაქცია ერთი მეწარმის მიერ ხორციელდება და არა ორი და მეტი, როგორც ეს იყო ადრე. ეს კომბინაცია იქნებოდა ინტეგრაცია, თუ მოიცავდა ტრანსაქციების ორგანიზაციას; ტრანსაქციები განაწილდებოდა მწარმოებლებს შორის ბაზრის მექანიზმების საშუალებით. უფრო ღრმა და საფუძვლიანი გამოკვლევა ვერტიკალური ინტეგრაციისა ჩაატარა ო. უილიამსონმა. ის თვლის, რომ ინტეგრაციის შინაარსობლივ მხარეს წარმოადგენს არა ტექნოლოგიური, არამედ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებები,

რომლებიც დაკავშირებულია ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებასთან და ბაზრის შიდაორგანიზაციით ჩანაცვლებასთან. მისი აზრით, ინტეგრაციის უპირატესობა დაკავშირებულია ინტერესთა ჰარმონიზაციასთან, რისკის შემცირებასთან, მნიშვნელოვან ეკონომიასთან, რომელიც მიიღება ინფორმაციული ნაკადების შემცირების საფუძველზე.

ეკონომიკური ინტეგრაციის შესწავლისას ყველა სკოლა აღიარებს ინტეგრაციული პროცესის აუცილებლობას, მაგრამ განსხვავებულად აანალიზებს ინტეგრაციის მექანიზმების ბუნებას, მიზნებსა და სუბიექტებს, განსხვავებულად ესმის მათი არსი; ამ სკოლებს 1)სისტემაში მოჰყავთ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების კონკრეტული ფორმები. 2) ზოგადთეორიულ საკითხებთან ერთად აწარმოებენ კონკრეტულ გამოკვლევებსაც. 3) იყენებენ მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდს, რომლის ფარგლებში გამოყოფენ ასპექტების ვიწრო წრეს და აგებენ ფორმალურ-ლოგიკურ სისტემებს.

დასავლელი ავტორები, კერძოდ, ბ. ბალასა, პ. უაილზი, რ. კუპერი აღნიშნავენ ეკონომიკური თეორიის მოცემული მიმართულების არაერთგვაროვნებას, გამოყოფენ ინტეგრაციული პროცესების შესწავლის **ლიბერალურ** და **ნეოლიბერალურ** მიდგომებს. ამ მიდგომებში განასხვავებენ **საბაზრო** (ლიბერალურ) **სკოლას** (ვ. რეპკე, ჟ. რიუეფი, რ. არონი) და **საბაზრო ინსტიტუციონალურს** (ნეოლიბერალურ) (მ. ალე, ბ. ბალასა, ჯ. ვაიერი).

საბაზრო სკოლის ძირითადი დებულებაა შემდეგი: საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს იმ გარკვეულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც ხორციელდება გაერთიანებათა ტერიტორიაზე საქმიანობის დროს სუბიექტთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად; საქონელთა გადანაცვლების წარმოების ფაქტორთა ლიბერალიზაცია ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ყველაზე ადრეულ სკოლად აღიარებულია საბაზრო (ლიბერალური) სკოლა (1950-1960). მისი წარმომადგენლები ინტეგრაციის საფუძველად მიიჩნევდნენ გაცვლის, ვაჭრობის, საბაზრო კავშირების სფეროს; ხოლო თვით ინტეგრაციას თვლიდნენ ვაჭრობის თავისუფლების უზრუნველყოფად

მოკავშირე (მონაწილე) ქვეყნებს შორის, ამ სფეროში ყველა წინაღობებისა და შეზღუდვების აღმოფხვრის საშუალებად; უპირველეს ყოვლისა კი საბაჟო ანარიცხების (გადასახადების) აღმოფხვრის საშუალებად. ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი, ლიბერალური სკოლის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, მოიცავს მხოლოდ საბაზრო ინსტრუმენტებს; ამ პროცესის სახელმწიფოს მიერ რეგულირება დაუშვებელია. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია მით უფრო ღრმაა, რაც უფრო თავისუფალია სტიქიური საბაზრო ძალების მოქმედება, ე.ი. რაც უფრო მცირეა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მარეგულირებელი ზემოქმედება. ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად ვ. რეპკე და ჟ. რიუეფი თვლიდნენ ოქროს სტანდარტის არსებობას, ვალიუტათა ერთმანეთთან სრულ ურთიერთგაცვლას, რაც განაპირობებს ბაზრის ფასებისა და ანგარიშების ერთიანობას.

მიუხედავად ამისა, მსოფლიო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია ყოველთვის წარმოადგენდა მართვად პროცესს. ინტეგრაციული პროცესები იმართება არა მარტო საბაზრო რეგულატორებით, არამედ ქვეყანათა გაერთიანების ნაციონალური მთავრობებითა და ტრანსნაციონალური (ქვეყანათშორისი) ინსტიტუტებით, აგრეთვე – რეგიონალური ეკონომიკური დაჯგუფებებით. ამ პროცესებს მონაწილე ქვეყნებისათვის მოაქვს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი შედეგებიც. კერძოდ, მიჰყავს ისინი კონკურენციის გაძლიერებასთან, წარმოების არაოპტიმალურ განლაგებასთან, რეგიონების არათანაბარ განვითარებასთან. სახელმწიფოები მოწოდებულნი არიან, შეამსუბუქონ ამ სახის უარყოფითი შედეგები (მაგალითად, სოციალურ სფეროში), რათა ინტეგრაციის დადებითი ეფექტები შეძლებისდაგვარად თანაბრად განაწილდეს ქვეყნებს შორის. ამიტომ ინტეგრაციის მართვის საბაზრო მექანიზმებთან ერთად აუცილებელია ნაციონალური მთავრობების ზენაციონალური ინტეგრაციული ინსტიტუტების ეკონომიკური კავშირების მიზანმიმართული ძალისხმევა.

საბაზრო ეკონომიკის იდეების შეუსაბამობა ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ პრაქტიკასთან წარმოშობს ახალ თეორიულ შეხედულებებს, კერძოდ,

საბაზრო-ინსტიტუციონალურ ანუ ნეოლიბერალურ სკოლას. ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლები (საბაზრო ინსტიტუონალური) თვლიან, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი ჰარმონიულად უნდა ათავსებდეს ორ ურთიერთშემავსებელ მიდგომას, როგორც სახელმწიფო, ასევე საბაზრო რეგულირებას. ინტეგრაციის საფუძველს, ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, ისევ ვაჭრობა წარმოადგენს, ხოლო ინტეგრაცია განიხილება ერთდროულად როგორც პროტექციონიზმის გაუქმებად მონაწილე ქვეყნების ურთიერთვაჭრობის პროცესში და ასევე _ კოლექტიურ პროტექციონიზმად მესამე ქვეყნების მიმართ. ჯ. ვაინერმა შემოგვთავაზა ინტეგრაციის ეფექტების თეორია საბაჟო კავშირის ფარგლებში. ეს წარმოადგენს მოცემული სკოლის დიდ დამსახურებას საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის კვლევაში. ნეოლიბერალური სკოლის წარმომადგენლების კიდევ ერთ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი ინტეგრაციას დინამიკაში განიხილავდნენ. ჯ. ვაინერთან ერთად მნიშვნელოვანი იყო ბ. ბალასას თეორია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპების შესახებ. ამ სკოლის ფარგლებში პირველად ჩამოყალიბდა რეგიონალური ინტეგრაციის შესახებ ორგვარი მიმართება, ერთი მხრივ, როგორც პროცესზე, მეორე მხრივ კი, ეკონომიკისა და პოლიტიკის გარკვეულ მდგომარეობაზე. ინტეგრაციის სტადიის ფორმირების პროცესში საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო ჩარევა, ხოლო ნაციონალურ მეურნეობათა ერთიან ინტეგრირებულ კომპლექსში გაერთიანებისას ამგვვარი ჩარევა მხოლოდ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად არის საჭირო.

საბაზრო ინსტიტუციური მიმართულება დასავლეთევროპული ინტეგრაციის ფარგლებში განხორციელდა. ამავდროულად ამ სკოლამ ვერ შეძლო კორექტულად გადაეწყვიტა ამ მოვლენის რიგი მნიშვნელოვანი თავისებურებანი. ეკონომიკური ინტეგრაცია სინამდვილეში არ დაიყვანება საგნებით ვაჭრობის სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრამდე და უფრო ღრმა შინაარსს მოიცავს.

„ეკონომიკურ ინტეგრაციას“ არ შეუძლია სოციალური საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტა. რეგიონალური ინტეგრაციის ამოცანები და საშუალებები, რომლებიც სტრუქტურალისტებმა ამ მიზნების მისაღწევად

შემოგვთავაზეს, შეუთავსებლები აღმოჩნდნენ. ამიტომ 1979-იან წლებში ფართო გავრცელება მოიპოვა **ნეოკეინსიანელთა** იდეებმა. რ. კუპერი და ბ. მასელი თვლიდნენ, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის უპირატესობის გამოყენებისთვის და ეროვნული სუვერენიტეტის მაქსიმალური შენარჩუნებისთვის აუცილებელია ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკის შეთანხმება. ეს აუცილებელია „ეკონომიკური ინტეგრაციის“ განვითარების ორი შესაძლო ვარიანტის ოპტიმალური თანხვედრის მისაღწევად: ა) ქვეყანათა გაერთიანება შემდგომი სუვერენიტეტის შეზღუდვით; ბ) ინტეგრაცია ეროვნული ავტონომიის მაქსიმალური შენარჩუნებით. თვლიდნენ რა, რომ არცერთი ეს ვარიანტი არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს წმინდა სახით, ისინი მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელია ინტეგრაციაში მონაწილე ქვეყნების შიდა და გარე სამეურნეო პოლიტიკის შეთანხმებული მოქმედება.

დირიჟიზმი წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის ნეოკეინსიანური მიმართულების ერთ-ერთ განხრას. მისი წარმომადგენლები _ ი. ტინბერგენი, რ. სანვალდი, ი. შტოლერი _ უარყოფდნენ საბაზრო მექანიზმის გადამწყვეტ როლს ინტეგრაციულ პროცესებში. ისინი ემხრობოდნენ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მკაცრ კორდინაციას და ზენაციონალურ ცენტრალიზაციას. სახელმწიფოს ამოცანად მიიჩნევდნენ „ზრდის პოლუსების“ შექმნასა და მხარდაჭრას. ეს კი აუცილებელია რეგიონალური ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურის შესაქმნელად; ვინაიდან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის არსი განისაზღვრება, როგორც ამ ოპტიმალური სამეურნეო სტრუქტურის ფორმირება რეგიონის ფარგლებში, საერთო პროპორციების აღწარმოების სტრუქტურით. ინტეგრაციის სუბიექტად მიიჩნევა მხოლოდ სახელმწიფო და ზენაციონალური ორგანოები. ამ სკოლის ფარგლებში ი. ტინბერგენმა პირველმა წამოაყენა პოზიტიური და ნეგატიური ეკონომიკური ინტეგრაციის იდეა. ნეგატიური ინტეგრაცია გულისხმობს უბრალოდ ბარიერების მოხსნას საქონლის მოძრაობისა და წარმოების ფაქტორების გზაზე. პოზიტიური ინტეგრაცია კი გულისხმობს იმ კანონების მიღებასა და ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც კიდევ უფრო მეტად გაზრდის საქონლის

მობილობას, სრულყოფს მომსახურებასა და წარმოების ფაქტორებს. ამრიგად, დირიჟისტული სკოლა ინტეგრაციის პროცესს განიხილავს როგორც ამა თუ იმ ეკონომიკური სფეროსა და სოციალური პოლიტიკის შეთანხმებულ ურთიერთდამოკიდებულებად მონაწილე ქვეყნებს შორის.

„ეკონომიკური ინტეგრაციის“ თეორიებში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს **ფუნქციონალიზმის სკოლას,** რომლის ფუძემდებლად ითვლება ინგლისელი სოციოლოგი დ. მიტრანი. ის თავის მხრივ ეყრდნობოდა გერმანელ პოლიტოლოგს პ. რაინშს და ინგლისელ სოციოლოგ ლ. ვულფს. ფუნქციონალიზმის წარმომადგენლები საერთაშორისო „ეკონომიკურ ინტეგრაციას“ განიხილავენ, როგორც სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ტრადიციული სისტემის თანდათანობითი გადასვლის პროცესს ზენაციონალურ სტრუქტურებში და სუვერენული სახელმწიფოების მხრიდან ძალაუფლების გადაცემას ამ სტრუქტურებისთვის. დ. მიტრანისა და მისი მიმდევრების აზრით, ინტერ და ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებს შეუძლიათ უკეთ დააკმაყოფილონ საზოგადოების ზოგიერთი მოთხოვნილებანი, ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოებს. ის ამგვარი ორგანიზაციის შექმნის ორ უპირატესობას გამოყოფს: 1) მათ წინაშე არსებული ამოცანების ეფექტური გადაწყვეტა ადამიანებს ნაკლებად დამოკიდებულს გახდის ეროვნული სახელმწოფოს იდეების მიმართ; 2) მეორე მხრივ, მათი არსებობა მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვეყანათშორის კონფლიქტებს. ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო ინტეგრაცია იყოს მაქსიმალურად დეპოლიტიზირებული, ხოლო სახელმწიფოთა ეფექტური თანამშრომლობა და კონფლიქტების თავიდან აცილება მიღწეულ იქნას ყველასთვის საერთო საკითხებზე კონცენტრაციით. ისინი თვლიდნენ, რომ ფუნქციები პირველადია, ხოლო მათი გამოვლენის ფორმები _ მეორადი.

ნეოფუნქციონალიზმი დაემთხვა ე.წ. 1960-1970-იანი წლების **„ევროენთუზიაზმს“**, როდესაც სახელმწიფოთა შემდგომი ინტეგრაცია გარდაუვლად მიიჩნეოდა ევროპის ეკონომიკური კავშირის ფარგლებში. ამ თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ე. ხაასს,

ლ. ლინდბერგს, ა. ეტზონის. ამ უკანასკნელის მიხედვით, „თანამეგობრობა“ წარმოადგენს ერთგვარ ერთობას, სისტემას, რომელსაც გააჩნია თვითკმარი ინტეგრაციული მექანიზმები, მაშინ როდესაც ინტეგრაცია არის ამ სისტემის თავისებური უნარი სტაბილობის შენარჩუნებისა, ზემოქმედება შინაგანი და გარეგანი ცვლილებების საწინააღმდეგოდ. „ეკონომიკური ინტეგრაცია“ მოიცავს რიგ აუცილებელ და მნიშვნელოვან ელემენტს, კერძოდ, გააჩნია ზემოქმედების იძულებითი ზომების გამოყენების ეფექტური კონტროლის მექანიზმი; აქვს ერთიანი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილებების მიღებასა და შესრულებაზე; გააჩნია პოლიტიკური ერთიანობის მაკონსოლიდირებელი ფუნქცია. ინტეგრაციული პროცესის თანმიმდევრობა და სტრუქტურა ნეოფუნქციონალისტების მიხედვით მოითხოვს მძლავრი ცენტრალური ინსტიტუტების სისტემის შექმნას და მონაწილე სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის გადაცემას ევროგაერთიანებისთვის. ევროკავშირის კომისია ამ შემთხვევაში გამოდის, როგორც ინტეგრაციული პროცესის აქტიური ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი.

ყველა ზემოთჩამოთვლილ მიდგომას გააჩნია არსებობის უფლება, ინდივიდუალობა და გარკვეული რაციონალური საწყისი. დღეს ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად და მასში ახალი ქვეყნების ჩართვის შემდეგ შეიქმნა ევროპული ინტეგრაციის განვითარების რიგი მოდელი, მათ შორის ვ. შტოიბლეს „ძლიერი ბირთვის თეორია“, ფ. მიტერანის „კონფედერაციის კონცეფცია“, ვ. ჟისკარდესტენისა და ჰ. შმიდტის ევროკავშირის „ცენტრალური ჯგუფის“ შექმნის იდეა, ჟ. დელორის „კონცენტრული წრეების თეორია“ და „ევროპული ავანგარდი“.

ცნობილი მკვლევარი ო. მისკო დაწვრილებით განიხილავს თითოეულ თეორიას და გამოყოფს „ეკონომიკური ინტეგრაციის“ ძირითად ნიშნებს:

- ინტეგრაცია არის ფირმის ისეთი შინაგანი ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება არასაბაზრო ურთიერთობების დომინირებით;
- ეს არის შეგნებული, ნებაყოფლობითი კოოპერაცია, მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ვლინდება შიდაფირმულ კონტრაქტებში და არ

წარმოადგენს ბაზრის საფასო მექანიზმის მოქმედების შედეგს; ის ეფუძნება მონაწილეთა მიზნების, მოქმედებების, ეკონომიკური ინტერესების ურთიერთშეთანხმებას.

- ამ ინტეგრაციის მთავარი ასპექტი არის მართვა, ანუ შინაგანი მექანიზმები თვითგანვითარების რეზერვებისა და ეკონომიკური ინსტიტუტების ევოლუციის სიმბიოზს წარმოადგენს (О. Мисько. Спб.2015, с14).

II თავი. საერთაშორისო ბიზნესის ზოგადი დახასიათება

ბიზნესი ინგლისური სიტყვაა და ქართულად საქმეს ნიშნავს, თუმცა დღესდღეობით მას დაკარგული აქვს თავისი პირველადი მნიშვნელობა. კლასიკური გაგებით, ის მოგების მიზნით წარმოებული საქმიანობაა. ბიზნესი და ვაჭრობა ფაქტობრივად ერთი და იგივე ეკონომიკური საქმიანობაა. ვაჭრობა ბიზნესის წინაპარია. ის უძველესი დროიდან არსებობს, იმ დროიდან, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იღებდა ამ საქმიანობაში მის ფულად ეკვივალენტს. თუ საშინაო ვაჭრობა ქვეყნის შიგნით განხორციელებული კომერციული ოპერაციაა, საგარეო ვაჭრობა ცდება ქვეყნის ფარგლებს და სხვა ქვეყნებს მოიცავს. ყველა ბიზნესმენს, ანუ ვაჭარს, უჩნდება სურვილი თავისი წარმოებული თუ შეძენილი პროდუქციით მსოფლიოს დაპყრობისა. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება უპირველესი ამოცანაა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. თითოეული ქვეყნის განვითარება კი „აღებ-მიცემობისა და მრეწველობის ზედ დართული შედეგი და ნაყოფია“. ამ დიდი მოაზროვნის სამოღვაწეო პროგრამის შინაარსი მრეწველობისა და ვაჭრობა-აღებ-მიცემობაში გამოიხატებოდა. ის წერდა: „ვაჭრობა განუყრელი ძმობილი ყოფილა წარმოებისა. ვაჭრობა ორის გზით ამრავლებს ქვეყნის ქონებას: ერთის მხრით ბაზარსა შოულობს მოსავლისათვის, და მით წარმოების ასპარეზს თანდათან აფართოვებს, და მეორეს მხრით _ აადვილებს, აიაფებს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ამიტომაც ხეირიანად წარმოებული ვაჭრობა, თუ შემომქმედი არა, მომქმედი ძალა მაინც არის ერის საეკონომიო ცხოვრებაში, და ისეთი ძალაა, ურომლისოდაც წარმოება, შემომქმედი შრომა ქვეყნისა, აუცილებლად შემცირდებოდა“ (ნ. ნიკოლაძე, „საქონლის გამზიდავი ვაჭრობა“, ჟურნ. „მოამბე“, # 12, გვ. 128. 1894 წ.) აქედან გამომდინარე, ავტორი საგარეო ბაზრის დაპყრობისაკენ მოუწოდებს ვაჭრებს და საზოგადოებას ამაში ხელშეწყობას სთხოვს.

რამ შეიძლება განაპირობის საგარეო ბაზრის ათვისების სურვილი? უპირველესად, ადგილობრივი ბაზრის გაჯერებამ და უცხოურ ბაზარზე მეტი მოგების პერსპექტივამ. არაერთი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ მსოფლიო ბრენდებისა, რომელთაც ჯერ ქვეყნის შიგნით ერთ კონკრეტულ ქალაქში დაიწყეს ვაჭრობა და დღეს უპოპულარესი კომპანიები არიან, მთელ მსოფლიოში ყიდიან უფლებას საკუთარი წარმოების ტექნოლოგიების, ბრენდის, სავაჭრო ნიშნისა და სხვა არამატერიალური აქტივების. ვაჭრობა მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისა. მწარმოებელს თუკი არ ექნება იმედი, რომ მისი პროდუქცია გაიყიდება, ის ტყუილად არ მოკიდებს ხელს წარმოებას, დაეკარგება ამის სტიმული. ადამიანთა მოთხოვნილებები სულ უფრო იზრდება, მეწარმეები კი უდიდესი კონკურენციის პირობებში ცდილობენ მათ დაკმაყოფილებას. იმარჯვებს ის, ვინც ზუსტად არჩევს თავის სეგმენტს და ამ სეგმენტის მომხმარებელს სასურველ ფასსა და ხარისხს სთავაზობს.

თავისი ზოგადი მნიშვნელობით საერთაშორისო ბიზნესი ეწოდება საქმიან ოპერაციებს, რომლებიც ცდება ეროვნულ საზღვრებს. საერთაშორისო ოპერაციების მართვა წარმოადგენს საერთაშორისო მენეჯმენტს, რომელიც ყველაზე სრულყოფილი სახით ჩამოყალიბდა საერთაშორისო კომპანიებში, ამიტომ მას ხშირად აიგივებენ საერთაშორისო მენეჯმენტის ზოგად სისტემასთან. ამასთანავე საერთაშორისო მენეჯმენტის ელემენტები და ცალკეული ფუნქციები კარგად ერწყმის კომპანიების მენეჯმენტების სისტემას, რომელთა საერთაშორისო ოპერაციები მხოლოდ მათი საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს. ნაციონალურ საზღვრებს გარეთ მოქმედი კომპანიების მენეჯმენტის საერთაშორისო ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა როლს თამაშობენ და რა ადგილი უჭირავთ მათ საქმიანობაში საერთაშორისო ოპერაციებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, თუ რამდენ ქვეყანას მოიცავს კომპანია, თითოეული ქვეყანა როგორ მიესადაგება მიმღები ქვეყნის პირობებს და რამდენად ხდება კულტურული და ეკონომიკური ადაპტაცია ამ ქვეყნებს შორის. მენეჯმენტის ადაპტაცია ევროპული ქვეყნებისთვის კონტინენტის ნებისმიერ ქვეყანაში შედარებით მარტივია. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია

ტერმინები _ „საერთაშორისო კომპანია“ და „საერთაშორისო კორპორაცია“. კაპიტალის ეროვნული კუთვნილების მიხედვით, საერთაშორისო კომპანიები იყოფა ტრანსნაციონალურ (სათავო კომპანია ერთი ქვეყნის კაპიტალს ეკუთვნის, ხოლო ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაშია გაბნეული) და მრავალეროვნულ (სათავო კომპანია ეკუთვნის ორი ან მეტი ქვეყნის კაპიტალს, ხოლო ფილიალები ასევე მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში) კომპანიებად. უნდა ითქვას, რომ ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის პირობებში ეს დაყოფა პირობითია. ტერმინი „ტრანსნაციონალური კორპორაცია“ გაეროს მიერ ძალზე ხშირად გამოიყენება, რაც მას ოფიციალურ ხასიათს ანიჭებს. ტრანსნაციონალური კომპანიები დღეს, გაეროს მონაცემების მიხედვით, 790 000 ფილიალს აკონტროლებენ მთელ მსოფლიოში. ამ კომპანიებს აქვთ ფართო საერთაშორისო ქსელები. თავისი საქმიანობის მიხედვით საერთაშორისო კომპანიები იყოფა მრავალეროვან და გლობალურ კომპანიებად. მრავალეროვანი კომპანიები ცდილობენ მიუსადაგონ პროდუქტები სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივ პირობებს. პორტერი მრავალეროვან კომპანიას უწოდებს ისეთ კომპანიებს, რომელთა საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარი ქვეყნის მიღმა იმყოფება. ამ დარგების სასიცოცხლო სივრცე უზარმაზარი და მრავალფეროვანია. ამ თვალსაზრისით მრავალეროვანი კომპანია წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიის სინონიმს, რომელსაც ინტერნაციონალიზმის მაღალი ხარისხი გააჩნია.

გლობალურს უწოდებენ ისეთ კომპანიებს, რომლებიც ქმნიან გლობალურ საწარმოო ქსელებს. ისინი სთავაზობენ მთელ სამყაროს სტანდარტიზირებულ პროდუქტებს და თავიანთი ბიზნესის სტანდარტიზაციას ახდენენ. ამასთანავე მიზანმიმართულად და გაცნობიერებულად ქმნიან მოხმარების სტანდარტებს მრავალი ქვეყნისთვის. მათ გააჩნიათ საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სავაჭრო ნიშნები. მაგალითად, ასეთი გლობალური კომპანიებია: „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“, „სონი“ და ა.შ.

მასშტაბის, საქმიანობის გეოგრაფიის, სტრატეგიის და ორგანიზაციის მიხედვით საერთაშორისო გლობალური კომპანიები იყოფა ეთნოცენტრისტულ, პოლიცენტრისტულ, რეგიოცენტრისტულ და გეოცენტრისტულ კომპანიებად.

2.1. ნაციონალური და საერთაშორისო ბიზნესის განსხვავება

ნაციონალური და საერთაშორისო ბიზნესი განსხვავდება ერთმანეთისგან. მეწარმის საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გახდეს საერთაშორისო, მაინც ინარჩენებს ბიზნესის ზოგად თვისებებს. ამიტომ მისიის საერთაშორისო და ნაციონალური ბიზნესის სტრატეგიების დამუშავებისა და მიზნების განსაზღვრისას პრინციპული სხვაობა არ შეინიშნება. ამავდროულად მთელი რიგი ნიშნებით საერთაშორისო ბიზნესი თვისობრივად განსხვავდება საქმიანი ოპერაციებისგან, რომლებიც ერთი ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება.

ჯერ ერთი, საერთაშორისო ბიზნესი ქვეყნების უპირატესობების გამოყენებით აფართოებს ბიზნესის მიზნობრივ ჰორიზონტებს და ამდიდრებს მათი მიღწევის საშუალებების არსენალს. ფირმები იღებენ შესაძლებლობას, გამოიყენონ კონკურენტული უპირატესობები, ძლევენ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის განვითარების დონესთან და სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცალკეულ ქვეყანაში ბიზნესის წარმოების პირობებთან. მეორე მხრივ, განსხვავება საერთაშორისო და ეროვნულ ბიზნესს შორის ძალზე აშკარად ვლინდება საქმიანი ოპერაციების ისეთ ასპექტებში, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულია იმ ქვეყანათა კულტურულ განსხვავებებთან, სადაც ფუნქციონირებს ეს კომპანია. საერთაშორისო ბიზნესის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული მენეჯმენტის უნარზე, გამოიყენოს ეროვნული კულტურული ფაქტორის უპირატესობა (ნაციონალური, საქმიანობისა და კორპორატიული კულტურების დონეზე) და იმავდროულად მოახდინოს კულტურული განსხვავებების ნეგატიური შედეგების ელიმინირება.

საერთაშორისო და ქვეყნის შიდა ბიზნესის კულტურული შემადგენლობის განსხვავების პრინციპული ხასიათი განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩნდება პერსონალის მართვის სფეროში და კომპანიის საქმიანობის გარე პირობების ანალიზისას. უკანასკნელ ხანს საერთაშორისო კომპანიები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ე.წ. მრავალფეროვნების შესაძლებლობას, მათ

შორის _ კულტურული მრავალფეროვნების. მაგალითად, იაპონური ავტოკონცერნი „ნისანი“, რომელიც გლობალურ კომპანიას წარმოადგენს, სტრატეგიულ ალიანსში შევიდა ფრანგულ კომპანია „რენოსთან“ და გამოიმუშავა სპეციალური სტრატეგია, რომლის მიზანია კულტურული, ნაციონალური, გეოგრაფიული და სხვა მრავალფეროვნება გადააქციოს ახალი ღირებულებების შექმნის წყაროდ. მისი ლოზუნგია _ „მრავალფეროვნების საშუალებით ნისანი გახდება უფრო ძლიერი და კონკურენტუნარიანი“. საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მოღვაწე მენეჯერის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ისეთივე საბაზისო ცოდნასა და უნარებს, როგორც ნაციონალურ კომპანიებში მომუშავე მენეჯერისა, მაგრამ საერთაშორისო ბიზნესში ამოცანები გართულებულია მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობით, რაც დაკავშირებულია ქვეყნებს შორის სამართლებრივი და საბეგარო სისტემების განსხვავავებებთან და სავალუტო ოპერაციების ჩატარების არაერთგვაროვნებასთან. საერთაშორისო მენეჯერი პროფესიონალურად უნდა ერკვეოდეს იმ ქვეყნების ეკონომიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებში, სადაც მოქმედებს კომპანია. ამიტომ კულტურული განსხვავებები, აგრეთვე ბიზნესის წარმოების თავისებურებები დიპლომატიურ მისიას ანიჭებს მენეჯერს, რომლის ურთიერთობა ინტერნაციონალურ კოლექტივში განაპირობებს მენეჯერის მიმართ მოთხოვნას, პერსონალურად ერკვეოდეს კომპანიის ქვეყნის კულტურულ გარემოში.

2.2. საერთაშორისო ბიზნესის მიზნები და ფორმები

ეროვნული ბიზნესისგან განსხვავებით საერთაშორისო ბიზნესი წარმოადგენს შედარებით რთულ სისტემას, რომელსაც თან ახლავს გაზრდილი რისკები. ეს რისკები დაკავშირებულია გარეშე ფაქტორების შედარებით დიდი რაოდენობის არაკონტროლირებად ძალებთან. ეს ძალები თავიდანვე აგრესიული და უცხოა თავისი ქვეყნის გარეთ მომქმედი კომპანიისთვის. მიუხედავად ამისა, სულ უფრო მეტი კომპანია, არა მარტო მსხვილი, არამედ მცირეც, ხდება საერთაშორისო. საერთაშორისო ბიზნესის დასახასიათებლად გამოვყოფთ

კომპანიების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ბიზნესის განვითარების სტრატეგიულ იმპერატივებს. პირველი ეს არის **ახალი ბაზრების მოძიება და ათვისება**. საერთაშორისო კონკურენციის ფოკუსმა გადაინაცვლა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში, რამაც ახალი პროდუქტის ბაზარზე გამოტანისა და მისი შექმნის პროცესი უფრო ძვირი გახადა, რაც თავის მხრივ განაპირობებს გაყიდვების მინიმალური მოცულობის ხვედრითი წილის გაზრდას. ყველა კომპანიას აქვს თავისი მიზეზები, მიიღოს გადაწყვეტილება საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. განვითარებული ქვეყნების ბაზრების გაჯერებულობის მაღალმა ხარისხმა და გარკვეულმა სტაგნაციამ (რაც მსხვილი საერთაშორისო კომპანიებისათვის ტრადიციულად საკვანძოდ ითვლებოდა), ასევე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაღალმა ტემპებმა განაპირობა საერთაშორისო კომპანიების მიერ ბაზრების ათვისებისადმი გაზრდილი ინტერესი. გამოიყო იმ ქვეყანათა ჯგუფი, რომელთაც დინამიკურად განვითარებადი ბაზრები ჰქონდათ და რომლებიც საერთაშორისო კომპანიების გაზრდილ ინტერესს იწვევენ; მაგალითად, ე.წ. ბრიჩი (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი). ცნობილი ბანკის „გოლდმან საქსის“ აზრით, 2050 წელს ამ ოთხი ქვეყნის ეკონომიკა თავისი მაჩვენებლებით გადააჭარბებს მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების (დიდი შვიდეულის) ჯამურ მაჩვენებელს და შეუძლია გახდეს ოთხი დომინანტური ეკონომიკური სისტემა. 2008 წელს გამოქვეყნებული „გოლდმან საქსის“ მთავარი ეკონომისტის _ ჯონ ონილის _ მონაცემებით, ამ ქვეყნებს უჭირავს მსოფლიო ხმელეთის 25 პროცენტი, მათში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 40 პროცენტი, მათი მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 15,4 ტრილიონ დოლარს. „გოლდმან საქსი“ არ ვარაუდობდა ეკონომიკური პოლიტიკების კოორდინაციას ამ ქვეყნებს შორის, ისეთს, როგორიც ევროკავშირშია. თანდათანობით გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ბრიჩის ქვეყნები შეეცადნენ შეექმნათ ერთგვარი პოლიტიკური კლუბი ან კავშირი და თავისი მზარდი ეკონომიკური გავლენა გეოპოლიტიკურ გავლენად ექციათ. ამისათვის მათ მიიღეს გარკვეული დოკუმენტები და ჩაატარეს მთელი რიგი შეხვედრები.

ეფექტური რესურსების მოძიება და გამოყენება საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი მიზანიცაა და ფორმაც. ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალობა სხვა ქვეყნების ბუნებრივი რესურსების წვდომის მოტივს, მაგალითად, სათბობენერგეტიკულის, ნედლეულის, სამთო მრეწველობის და ა.შ. ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესი ამ სფეროების მიმართ აღინიშნა „უნცტად"-ის მოხსენებაში 2007 წლის მსოფლიო ინვესტიციებთან დაკავშირებით. დღეს შრომითი რესურსების მოძიების სფეროში ერთ-ერთ აქტუალურ ტენდენციად ითვლება ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესი, მოიძიონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და ამ ქვეყნებში გადაიტანონ სულ უფრო მეტად რთული ბიზნესფუნქციები; მაგალითად, კომპანიის ინფორმაციული უზრუნველყოფა და საპროგრამო პროდუქტების დამუშავება. ერთ-ერთ მიმზიდველ ქვეყნად, სადაც გადატანილია პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების ფუნქციები, იქცა ინდოეთი, შეიქმნა თავისებური ხატოვანი გამონათქვამიც: „ინდოელი პროგრამისტების ფენომენი". საბოლოო ჯამში როგორი კონკრეტული მოტივებიც არ უნდა ამოძრავებდეს კომპანიებს ახალი უცხოური ბაზრების ათვისების პროცესში, მათ აერთიანებთ მისწრაფება, გამოიყენონ სხვა ქვეყნების ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი და სხვა შესაძლებლობები თავიანთი საქმიანობის დივერსიფიკაციის მიზნით (ამ სიტყვის საკმაოდ ფართო გაგებით). დაწყებული ახალი ბაზრების ათვისებიდან, დასრულებული სხვა ქვეყნების შრომით, ბუნებრივი, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით.

საერთაშორისო ბიზნესის განხორციელება გაშუალებულია საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაციების ისეთი **ფორმებით**, როგორებიცაა **საგარეო ვაჭრობა საქონლითა და მომსახურებით** და **საერთაშორისო ინვესტიციები.** მათ ჩვეულებრივ უწოდებენ საერთაშორისო ბიზნესის ძირითად ფორმებს ანუ სახეობებს, რაც სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან უცხოეთში მოქმედი უმრავლესი კომპანიების საქმიანობის არსი მდგომარეობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ საწარმოო და სხვა ბიზნესოპერაციების განხორციელებაში,

ამავე დროს პროდუქტების (საქონლისა და მომსახურების) რეალიზაციაში, რაც უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს პირდაპირ ინვესტირებას და აგრეთვე სხვა ქვეყნების მიერ და სხვა ქვეყნებთან ერთად ფინანსური ოპერაციების განხორციელებას.

ზემოთაღნიშნული უცხოური ბიზნესის არსობრივ ფორმებთან ერთად კომპანიები იყენებენ სხვადასხვა საორგანიზაციო ფორმებსაც, როგორებიცაა ლიცენზირება, ერთობლივი საწარმოების შექმნა და ალიანსების ჩამოყალიბება.

2.3. საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ძირითადი ფაქტორები და ტენდენციები

საერთაშორისო ბიზნესმა, როგორც მსოფლიო მეურნეობის განვითარების ფენომენმა, ევოლუციის ხანგრძლივი განვითარების გზა გაიარა. თანამედროვე სახით ის გლობალიზაციის ეპოქაში ჩამოყალიბდა, მე-20 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მისი წინარე ისტორია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქას უკავშირდება, დროს, როდესაც მოხდა სამყაროს გეოგრაფიული ფარგლების გაფართოება, რამაც ბიძგი მისცა ქვეყნებსა და ხალხებს შორის ვაჭრობის განვითარებას და საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სავაჭრო სისტემას. საერთაშორისო ვაჭრობამ კი დიდი გავლენა მოახდინა პოლიტიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, ხელოვნებაზე, მსოფლიო ხალხების ცხოვრებაზე და მძლავრი ბიძგი მისცა ტრანსპორტის, ფინანსების, სადაზღვეო საქმის და სხვა ყველა იმ მიმართულების განვითარებას, რომელთაც ჩვენ საერთაშორისო ბიზნესის ინფრასტრუქტურას ვუწოდებთ. 1600 წელს შეიქმნა ბრიტანეთის „ოსტ-ინდოეთის“ კომპანია, საგარეო სავაჭრო სპეციალიზირებული ფირმა, რომელმაც თავისი ფილიალები გახსნა აზიაში. 1602 წლიდან ჰოლანდიამ შექმნა „ოსტ-ინდოეთის“ კომპანია, რომელიც ითვლება პირველ ინტერნაციონალურ კორპორაციად. მან დაიწყო აზიის ეკონომიკური კოლონიზაცია, გახსნა სავაჭრო გზები აღმოსავლეთში, გამოუშვა აქციები. მე-18 საუკუნიდან ამგვარი სქემით ვითარდებოდა კოლონიალური ვაჭრობა ამერიკაში. ამერიკიდან განხორციელდა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინგლისში, კოლტის იარაღის საწარმოებში. მე-19 საუკუნეში ატლანტიისა და ინდოეთის ოკეანის სავაჭრო სისტემები ერთმანეთს დაუკავშირდნენ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის კომპანიების პირდაპირი მონაწილეობითა და მთავრობათა ირიბი ხელშეწყობით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის სწრაფი პროგრესის შედეგად იწყება კაპიტალების აკუმულირების ახალი ტალღა და ევროპული და ამერიკული კომპანიების უცხოური ექსპანსიების გაფართოება. ბევრი მათგანი იქცა მონოპოლიად, რომელსაც მხარს უჭერდა სახელმწიფო. ასე მაგალითად, ბრიტანეთის „ოსტ-ინდოეთის“ კომპანიამ მონოპოლური უფლება მიიღო ოსტ-ინდოეთიდან იმპორტირებული ყველა სახის საქონლის გაყიდვაზე ინგლისში. ეს კომპანია შეიძლება ჩაითვალოს მულტინაციონალური კორპორაციის თავისებურ წინაპრად, რომელსაც სახელმწიფო უჭერდა მხარს. თუ ბრიტანეთის იმპერია თავის გავლენას აზიასა და აფრიკაში აფართოებდა, ამერიკის მთავრობა და მეწარმეები ლათინურ ამერიკას მიმართავდნენ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განვითარებული მასობრივი სამრეწველო წარმოება ასტიმულირებს კომპანიებს, გადავიდნენ წმინდა სავაჭრო ოპერაციებიდან **უცხოეთში ნედლეულის მოპოვებასა და პლანტაციური მეურნეობების შექმნაზე**. ამან საფუძველი ჩაუყარა საწარმოო კაპიტალის სისტემატურ ექსპორტს უცხოეთში, პირველ რიგში კოლონიებსა და დამოკიდებულ ტერიტორიებში. ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს **ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია**. ასე, მაგალითად, რუსეთის ისტორიაში სანქტ-პეტერბურგში პირველი კერძო კომერციული ბანკის ფამფუძნებელი იყო გერმანული საბანკო ფირმა „მენდელსონი“, ხოლო 1879 წელს რუსეთში თავისი ფილიალი გახსნა ფრანგულმა ბანკმა „ლიონის კრედიტმა.“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება პირველი მრავალეროვანი კომპანიები. ერთ-ერთი პირველი კომპანიათაგანი, რომელმაც საკუთარი წარმოება შექმნა სხვა ქვეყანაში, ჩამოაყალიბა სადისტრიბუციო ქსელი და მრავალი ქვეყანა მოიცვა, იყო ყველასათვის ცნობილი კომპანია „ზინგერი“. მსოფლიოს ავტოგიგანტმა „ფორდმა“ უკვე 1905 წელს შექმნა საწარმოები კანადაში. 1914 წელს 37 ამერიკულ

კომპანიას ორი და მეტი უცხოური საწარმო ჰქონდა [Multinationals Come Into Their Own//Financial Times.2000.December 6].

იზრდებოდა საერთაშორისო კომპანიებს შორის კონკურენციაც. ასე მაგალითად, "Royal Dutch Shell" ებრძოდა ამერიკულ "Standard Oil"-ს ნავთობსაბადოების კონტროლისთვის მექსიკაში, ინდონეზიაში, რუმინეთში, ვენესუელასა და ა.შ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება ამერიკული კორპორაციების უპრეცენდენტო საერთაშორისო აქტივობით, რამაც ამერიკული ეკონომიკა აქცია მსოფლიოში უძლიერესად. მათ გააჩნდათ უდიდესი მატერიალური და ფინანსური რესურსები, რამაც **საერთაშორისო ბიზნესი მრავალეროვან ბიზნესად აქცია**. 1960-1970-იან წლებში, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პროცესში, თანაბარი უფლებებით ჩაერთნენ ევროპული და იაპონური კორპორაციები, რომელთაც ომისშემდგომი აღდგენის მძიმე პერიოდი დაძლიეს. გლობალიზაციის პერიოდში საერთაშორისო ბიზნესის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია საერთაშორისო კომპანიების რიცხვისა და მასშტაბების ზრდასთან, მათ მიერ წარმოებული საერთაშორისო ოპერაციების გართულებასთან, საერთაშორისო საქმიანობის მნიშვნელობის ზრდასთან მათი ბიზნესის საერთო სტრუქტურაში.

საერთაშორისო კომპანიებს სამართლიანად მიიჩნევენ გლობალიზაციის პროცესის საკვანძო მომქმედ პირებად, ვინაიდან სწორედ მათი საქმიანობა ხელს უწყოს ეროვნული ბაზრების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პროცესს (Rugman A.M. 2004 : 3). გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე განვითარების ზოგადი ტრენდი, თავს იჩენს მრავალი სახით: ეკონომიკური, კულტურული, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და ა.შ., ზეგავლენას ახდენს კომპანიების საქმიანობაზე, აყალიბებს და მუდმივად შლის მათი საქმიანობის გარემოს და უბიძგებს ოპარაციების შემდგომი ინტერნაციონალიზაციისაკენ. საერთაშორისო ბიზნესის შესწავლის კონტექსტში ყველაზე ხშირად ოპერირებენ ეკონომიკური გლობალიზაციის ცნებით, რომელშიც გულისხმობენ საერთაშორისო ინტეგრაციას, ინფორმაციის, შრომის, კაპიტალის, მომსახურების თავისუფალ

მოძრაობას და საბოლოო ჯამში ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებას. **ცვლილებები საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტირების პირობებში** გახდა შესაძლებელი მას შემდეგ, როდესაც განვითარებული ქვეყნების უმეტესობამ უარი თქვა პროტექციონიზმის პოლიტიკაზე. 1948 წელს 23 ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რომლის სამართალმემკვიდრე გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც დღეს უკვე 150-მდე მეტ ქვეყანას აერთიანებს. **ტექნოლოგიური ფაქტორი** დიდ გავლენას ახდენს ბიზნესის ინტერნაციონალიზაციაზე. საერთაშორისო ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია **საინფორმაციო-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე**. **სავაჭრო და საინვესტიციო რეჟიმების ლიბერალიზაცია** ქმნის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ინსტიტიციურ-სამართლებრივ წინაპირობებს, ხოლო ტექნოლოგიების პროგრესი ფიზიკური თვალსაზრისით ამთლიანებს სამყაროს, ამცირებს დროსა და მანძილს, აჩქარებს საქონლის, კაპიტალის, ხალხის, ინფორმაციის მობილობას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 2008 წლის მოხსენებაში აღინიშნა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები საერთასორიოსო სავაჭრო ოპერაციებზე, რაც დაკავშირებული იყო ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი დროისა და ღირებულების შემცირებასთან (VTO). დღესდღეობით საერთაშორისო კომპანიებისთვის სტრატეგიულ იმპერატივს წარმოადგენს არა მარტო საკუთარი **სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების უზრუნველყოფა** და **საკუთარი ინტელექტუალირი საკუთრების დაცვა**, არამედ სხვა ქვეყნების **სამეცნიერო-ტექნიკურ რესურსებზე წვდომა**, რომელიც ხორციელდება ან ერთობლივი წარმოების ორგანიზაციის გზით ან უცხო ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილებების გადატანით. სიტუაციის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ თუ ადრე კომპანიები ასეთ ქვეგანყოფილებებს ათავსებდნენ ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, ახლა შესაძლებელი გახდა მათი გადატანა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ასეთია საერთაშორისო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და ფორმირების ძირითადი ფაქტორები და ტენდენციები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ ამა თუ იმ

საერთაშორისო სტრატეგიის არჩევაზე გავლენას ახდენს, პირველ რიგში, გარემოს (საერთაშორისო) ფაქტორები. სწორედ ის უზრუნველყოფს დამატებით მახასიათებლებს, რომლებიც უნდა შეფასდეს, რაც ქმნის დამატებით პრობლემებსა და რისკებს. სტრატეგიული აზროვნების პრინციპულ დამახასიათებელი თვისებად ითვლება ფირმების საქმიანობის საგარეო მხარეზე კონცენტრაცია, ბაზარზე საუკეთესო სტრატეგიული პოზიციის მიღწევა. სტრატეგიის არჩევის კიდევ ერთი მთავარი ფაქტორია კონკურენტული უპირატესობის მოპოვება, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მათი საერთაშორისო მიზნების რეალიზაციის თვალსაზრისით.

III თავი. საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლა

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული მოვლენების ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლა. ხდება გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირება. ის არის ერთიანი, პლანეტარული მასშტაბის ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული ეკონომიკების გაერთიანებას, მათ ურთიერთობაში ბარიერების მოხსნას. ამ ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს გლობალიზებად ეკონომიკას. მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზდება მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან. ნათელია, რომ ამ დროს ეროვნული სახელმწიფოს როლი მცირდება, მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ტემპი კი იზრდება. თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ გლობალიზაცია და აქედან გამომდინარე საერთაშორისო ბიზნესი კრიზისშია, საჭიროა დეგლობალიზაცია, ეროვნულ ეკონომიკათა განვითარება, რათა ის დამოკიდებული არ იყოს საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებზე. იმისათვის, რომ რეალური წარმოდგენა შეგვექმნას ეკონომიკური ინტეგრაციის გავლენის შესახებ საერთაშორისო ბიზნესის სფეროზე, აუცილებელია ამ უკანასკნელის _ საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლა.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნებს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება უპრეცენდენტოდ მაღალ ხარისხშია განვითარებული. განვითარებადი ქვეყნების საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაც ამ კავშირისაკენ ისწრაფვის.

საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიგი ფაქტორების მოქმედებაზე. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ეკონომიკური გარემო, რომელიც მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ასპარეზზე გამოჩნდნენ განვითარებადი ქვეყნები და ყოფილი სოციალისტური ქვეყნები,

რომლებიც ადრე პრაქტიკულად დახურულნი იყვნენ ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის. აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების ზრდის მაღალი ტემპები ინდუსტრიალიზაციის წარმატებები, ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სტრუქტურული ცვლილებები, ტექნოლოგიური განვითარების დონის გაზრდა, ადამიანური კაპიტალის ხარისხის ამაღლებული დონე იწვევს მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვან ცვლილებებს. შესაბამისად ტრანსფორმაციას განიცდის ტრანსნაციონალური კორპორაციების დამოკიდებულება ამ ქვეყნებისა და მათი ბაზრებისადმი.

საერთაშორისო კომპანიების გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ გამოკითხულთა 85 % აღიარებს ბიზნეს გარემოს მზარდ კონკურენტულ ხასიათს [McKinsey A.]. სიტუაციას მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად ცვლის როგორც მსხვილი აზიური ეკონომიკების (ჩინეთისა და ინდოეთის, რომელთაც უზარმაზარი პოტენციის ბაზარი, იაფი და საკმაოდ კვალიფიცირებული მუშახელი გააჩნიათ), ასევე აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (კორეა, სინგაპური, ტაივანი და ჰონკონგი) და ე.წ. „მეორე ტალღის“ ქვეყნების (როგორებიცაა ტაილანდი, ინდონეზია, მალავიზია) აქტივობა მსოფლიო ბაზარზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ბაზრები, რომლებიც ძირითადად გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე და დაძლიეს ტრანსფორმაციული ვარდნა. პოსტსოციალისტური ქვეყნების შესვლა ევროკავშირში საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს უქმნის ევროპულ, აზიურ და ამერიკულ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რათა შეაღწიონ ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრებში და განათავსონ იქ თავიანთი სამრეწველო სიმძლავრეები.

ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტი, რომლის ამოცანა იყო შეეფასებინა გარემოს ეკონომიკური შესაძლებლობები და რისკები, მიზნად ისახავდა გამოემუშავებინა ახალი, მზარდი ბაზრების ათვისების სტრატეგია, რასაც მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ეკონომიკურ გარემოთა სხვაობა. ადრე

განვითარებული ქვეყნებისთვის პრიორიტეტული იყო განვითარებული ქვეყნების ბაზრები, განვითარებული და პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარების ხარისხი ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, ბიზნესის წარმოების სპეციფიკით, ტრადიციით საკმაოდ მაღალია. ეს კი მენეჯერებისგან მოითხოვს ყოველ ქვეყანას ინდივიდუალურად მიუდგეს. ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, რაც ძირითადი შეფასების საფუძველი ხდება, საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, რაც მაჩვენებლების სიზუსტეს ამცირებს მაშინაც კი, როდესაც ქვეყნების სტატისტიკური ორგანოები არ ცდილობენ შეგნებულად დაამახინჯონ ინფორმაცია [Пасек Н., Торнайли Д. 2006 :46].

აქედან გამომდინარე, იზრდება აუცილებლობა ქვეყნების ეკონომიკური გარემოს პროფესიული ანალიზისა. ბიზნესგარემოში გასარკვევად კომპანიების ხშირად იყენებენ ადგილობრივ სპეციალისტებს და მიზნობრივი ქვეყნის ენის მცოდნე ადამიანებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებს.

საერთაშორისო ბიზნესგარემო მოიცავს პოლიტიკურ გარემოსაც. იმ ქვეყანაში, სადაც კომპანია აპირებს საქმიანი ოპერაციის ჩატარებას, პოლიტიკური ვითარების შეფასება წარმოადგენს კომპანიის საერთაშორისო სტრატეგიის და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ამის მიხედვით განისაზღვრება ამა თუ იმ ბაზარზე შესვლის მიზანშეწონილება. პოლიტიკური გარემოს შეფასება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას ისეთი სტანდარტული საკითხების შესახებ, როგორებიცაა ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა, პოლიტიკური სიტუაცია და მისი ტენდენციები, ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთობა. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ბაზრებზე მუშაობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ფორმალური კანონმდებლობაც, რომ არაფერი არ ვთქვათ ხალხის მენტალიტეტზე, ან არ არსებობს ან ამ უფლებას იგნორირებას უკეთებს. ამ

თვალსაზრისით უარყოფით მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი, რომელიც მსოფლიოში უმსხვილესი მიმწოდებელია კონტრაფაქტული პროდუქციის. ეს მდგომარეობა ვერ გამოასწორა 2000 წელს ჩინეთის მიღებამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ევროკავშირის ექსპერტებმა გამოითვალეს, რომ 2004 წელს ევროპულ ბაზარზე შემოსული კონტრაფაქტის ნახევარი ჩინური წარმოშობისაა. ამერიკულმა სპეცსამსახურებმა დაადგინეს, რომ კონტრაფაქტულმა პროდუქციამ ამერიკულ კომპანიებს 250 მილიარდი ზარალი მიაყენა. არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სუსტი კონტროლი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქვეყნის მისწრაფებას, ფარულად დაუჭიროს მხარი ადგილობრივ კომპანიებს. მაგალითად, უცხოური ფარმაცევტული ფირმები, რომლების სლოვენიაში მუშაობენ, მრავალი წლის განმავლობაში ჩივიან, რომ ადგილობრივი ფირმები იპარავენ წამლების ფორმულებს და საკუთარ ანალოგებს უშვებენ მათ მიხედვით. უცხოური კომპანიების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი სასამართლოები ამ საჩივრებს უგულებელყოფენ.

საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლაში ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რისკების შეფასება. ბიზნესის წარმოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და სოციო-კულტურული გარემოს ანალიზის დროს საერთაშორისო კომპანიის მენეჯერები ახორციელებენ ქვეყანაში ოპერაციების წარმოების რისკების სისტემურ შეფასება (მათ შორის, რაოდენობრივი მეთოდებით). იმ ფირმების საკუთრებებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე ფუნქციონირებენ, ემუქრება მრავალრიცხოვანი რისკები. განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც ფირმა საქმიანობს იმ ქვეყნებში, სადაც არასტაბილური მდგომარეობაა, მოქმედებს ტერორი, მძვინვარებს ეპიდემიები და პანდემიები. გარემოს ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის თვალსაზრისით გამოიყოფა რისკების შემდეგი ჯგუფი: ბუნებრივი, ტექნიკური, პოლიტიკური, ზოგჯერ _ სოციალურ-პოლიტიკური. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება კომპანიის საკუთრების ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციის

საფრთხე, ომები, მათ შორის _ სამოქალაქო, სახელმწიფოს დესტრუქციული ქმედებები (სავაჭრო ბარიერების შემოღება), მოგებაზე რეპატრიაციის შეზღუდვების შემოღება, დისკრიმინაციული საბაჟო პოლიტიკის გატარება [Daniels J.D. 2009 : 144–145].

სოციალურ-პოლიტიკური რისკების შეფასებისას ითვალისწინებენ ქვეყნის მთავრობების დამახასიათებელ ქმედებებს წარსულში. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ საკუთრების ჩამორთმევა განუვითარებელ ქვეყნებში. ამგვარი შემთხვევების ნახევარი ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მოდის. უცხოური კომპანიების მიერ ინვესტიციების დაკარგვის თვალსაზრისით აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი ლიდერობენ. მხედველობაში მიიღება აგრეთვე არასტაბილურობის დონე (ინფლაცია, პოლიტიკური გამოსვლები, პარტიზანული ომი, ქვეყნის სათავეში პოლიტიკური პარტიების ცვლა და მისი შედეგები).

რისკების შეფასება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების მიერ სტრატეგიული ალტერნატივების შერჩევაზე. რისკების შემცირება შესაძლებელია მიუღებელი ქვეყნების გაცხრილვით, სხვა ფირმებთან აქტივების განაწილებით, ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით, რამდენიმე ქვეყანაში აქტივების განაწილებით. რისკების შემცირების მიზნით კომპანიები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ; ქმნიან საკუთარ სარეზერვო ფონდებს ზარალის ასანაზღაურებლად (თვითდაზღვევა), იყენებენ სადაზღვეო კომპანიის „გარე რეზერვებს“.

მთლიანობაში რისკების შეფასება და მათი მართვა თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში სულ უფრო აქტუალური ხდება, ვინაიდან გააჩნია საერთო ტენდენცია საერთაშორისო ოპერაციების წარმოების რისკების ხარისხის ზრდის. ეს დაკავშირებულია საერთაშორისო ბიზნესგარემოს ტრანსფორმაციის საერთო ტენდენციებთან. ოპერაციის წარმოების აუცილებლობა ახალ ბაზრებზე ხშირ შემთხვევაში წარმოშობს გაურკვევლობის შეგრძნებას, რაც კომპანიებს შესაბამის მარკეტანალიზის წარმოებას აიძულებს. ამგვარად, საერთაშორისო ბიზნესის მართვის სფეროში ერთ-ერთ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ

ბიზნესგარემოს რისკ-შეფასების გართულება, რომელიც ხდება ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ტრანსნაციონალური კომპანიები უფრო ძალიან დიდი სიფრთხილით შედიან განვითარებად და პოსტსოციალისტური ქვეყნების არაპროგნოზირებად ბაზრებში.

IV თავი. საქართველოს ბიზნესი ევროინტეგრაციასთან მიმართებაში

საქართველოს სწრაფვა ევროინტეგრაციისაკენ თანამედროვე ეპოქაზე გაცილებით ადრე დაიწყო. სულხან-საბა ორბელიანის უშუალო მონაწილეობით ფრანგულ ენაზე შედგენილი „მემორანდუმის“ ტექსტი ერთ-ერთი პირველი წერილობითი დოკუმენტია („პროექტი“), რომელიც ქართული ეკონომიკის ისტორიის საინტერესო ფურცელს ასახავს და რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. „მემორანდუმის“ ტექსტი, მეცნიერთა ვარაუდით, ფრანგი მისიონერისა და სულხანის პირადი თარჯიმნის _ ჟან რიშარის _ მიერ არის ფრანგულად შედგენილი. სულხან-საბა იმ ეკონომიკურ თანამშრომლობას სთავაზობს ლუი XIV-ს, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო. მასში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გამყარება-გაძლიერებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დოკუმენტის ძირითადი ნაწილი კონკრეტული (კომერციული) სარგებლიანობის დასაბუთებას ეძღვნება და მთავარი აქცენტი ქართული ქვეყნის ისტორიული ფუნქციის აღდგენისაკენაა მიმართული; რაც მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელი ხაზის ფუნქცია აქვს და რომლის გამოყენებაც ეკონომიკურად ხელსაყრელია. ის აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი უმოკლესი სავაჭრო გზაა, ამიტომ მისი ხელახალი ათვისების მცდელობა სულხან-საბას „მემორანდუმში“ მთავარ ადგილს იკავებს. სპარსეთის პროვინციებში წარმოებული აბრეშუმი ევროპაში გასაყიდად ვახტანგ VI-ის დროს საქართველოს გვერდის ავლით, ძირითადად სომეხ ვაჭრებს შეაქვთ, სავაჭრო გზის სიგრძე და მაშინდელი საბაჟო გადასახადები კი მნიშვნელოვნად ზრდის ნაწარმის თვითღირებულებას, ამიტომ გზა უნდა შემოკლდეს, მან საქართველოზე უნდა გაიაროს! _ ასეთია ქართული პოზიცია, ამას თან სახელმწიფო გარანტიებიც ერთვის. სულხან-საბა მიუთითებს, რომ ეს გაზრდის

საქართველოს შემოსავლებს და ხელს შეუწყობს ქვეყანას, საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი ნიშა ჰქონდეს. სულხან-საბას გონივრული გეგმაცა და მცდელობაც, ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერების საფუძვლად უმთავრესი _ეკონომიკური საფუძვლის შექმნა, ვფიქრობთ, რომ სცილდება ერთი კონკრეტული ეპოქის მოთხოვნას. ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა და ის ნასკვი, რომელიც ეკონომიკისა და პოლიტიკის მტკიცე შეკავშირებით შეიქმნება ხოლმე და ნაკლებად ექვემდებარება რღვევას, ამიტომ კარგად მოფიქრებულ, ორმხრივად სასარგებლო „მემორანდუმში“ იკითხება, ერთი მხრივ, ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა _ დაბრუნებოდა თავის ბუნებრივ ადგილს, ევროპულ ცივილიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ფეხი აეწყო თანამედროვეობისათვის, იმდროინდელი ვაჭრობის ერთ და მტკიცე რგოლად, მის განუხრელ ნაწილად ქცეულიყო. ევროპული განვითარების კონცეფციას არც დღეს და არც მაშინ ალტერნატივა არ ჰქონდა, ამიტომ სულხან-საბამ ეკონომიკის საკითხებში თანამშრომლობისათვის საფრანგეთი შეარჩია, ბევრი საინტერესო წინადადებით წარდგა, თანაც ისე, რომ ქართული ინტერესის დაცღდილვა არც უფიქრია. დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისში, საგარეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობათა გაფართოება საქართველოს უმთავრეს ამოცანად რჩება და ევროპულ ქვეყნებთან ინტეგრაციის პროცესს, როგორც ქვეყნის განვითარების ძირითად კონცეპტუალურ ხაზსა და როგორც სახელმწიფოებრივი ეკონომიკური რეგულირების მთავარ არსს, არ ღალატობს. თანამედროვე ეპოქაშიც „ასეთი კავშირები როგორც დასავლეთის, ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (ასევე, სხვა) ქვეყნებთან უნდა ვითარდებოდეს. თუმცა, რა თქმა უნდა, სტრატეგიულად გაცილებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ურთიერთობები განვითარებულ ქვეყნებთან (და არა ჩამორჩენილთან). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და წარმოებრივ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებით შეიძლება [ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაიძე 2001: 418]. თანამედროვეობის ასეთი მოთხოვნა დღეს დაბადებული იდეა რომ არ არის, ამაზე სულხან-საბას „მემორანდუმიც“ მეტყველებს. XVIII საუკუნის

მოაზროვნის ნაფიქრალი იდეური თვალსაზრისით ფეხს თანამედროვეობას უწყობს, ხოლო კომერციულ-პოლიტიკური გათვლებით საკუთარი ეპოქის აზრობრივი პროდუქტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დოკუმენტში მარტო ქართული მხარის სარგებლიანობაზე არ არის ლაპარაკი. სავაწრო გზის საქართველოზე გატარებით სულხან-საბამ ფრანგებს მოგების კოეფიციენტიც დაუთვალა და შიდა ბაზრის, კერძოდ, მანუფაქტურული წარმოების, განვითარების პერსპექტივაც დაანახა; უთხრა, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში საფრანგეთში ფაბრიკათა რაოდენობა გაიზრდებოდა და ამ კუთხით დაწინაურებულ ჰოლანდიურ ფაბრიკებს „ჩააგდებდა“. ვაჭრობის სხვა მიმართულებით წარმართვის შესაძლებლობაც ძალაში რჩებოდა _ ეს ცვილის, მატყლის, ტყვიისა და ენდროს ძირის (როგორც საღებავი საშუალების) ევროპაში შეტანის შესაძლებლობა იყო, ასევე ფრანფული ფლოტის შავ ზღვაზე შემოსვლის [„მემორანდუმი“: 219]. ამრიგად, ცალსახად ნათელია, რომ ქართული მხარის ინიციატივა პოლიტიკურ-ეკონომიკურ გათვლებსა და უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგიული ღირებულების მქონე აქტი იყო, ის დღემდე არ არის მოკლებული აქტუალობას, თუმცა სამწუხაროა, რომ ქართული სახელმწიფოსა და ქართული ბიზნესის ევროინტეგრაციის პროცესს რამდენიმე საუკუნე მოცდა მოუწია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შეცვლილი დღევანდელობა, ეკონომიკური ბაზრის თანამედროვე მოთხოვნილებანი სრულიადაც ვერ ჩრდილავს საქართველოს განვითარების უმთავრეს აზრობრივ არტერიას _ იყოს ევროპის ღირსეული ნაწილი და მომავალი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა ამ მიმართულებით წარმართოს.

ახლა კი განვიხილოთ, რა არის დღეს საჭირო საქართველოს ბიზნესის ევროინტეგრაციისათვის, ინტერესდება თუ არა ევროკავშირი ქართული ბაზრით და რა მოთხოვნებს უყენებს მას ევროინტეგრაციისათვის.

როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისა და

ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის არსებობა, რაც სასიცოცხლოა საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის; კონკურენცია ხომ დემოკრატიის განვითარების საფუძველიც არის. აქედან გამომდინარე, დღევანდელ რეალობაში დიდი როლი უნდა მიენიჭოს ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რომლის დანიშნულებაა კონკურენციის დაცვა და სტიმულირება. კონკურენციის კანონმდებლობა და რეგულირება მთავრობის ფუნქციაა. კონკურენციის სფეროში კანონმდებლობა და რეგულირება შესაძლოა ერთმანეთს კიდეც უპირისპირდებოდეს. თავისუფალი კონკურენციის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ბიზნეს-გარემოს ფორმირება. დღესდღეობით საქართველოში შეზღუდულია თავისუფალი საბაზრო კონკურენცია, რადგან სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზირებულია მაღალი კონტროლირებადი ფასებით ერთმანეთთან მორიგებული რამდენიმე კომპანიის მიერ.

ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის აუცილებელი პირობაა თავისუფალი კონკურენციის დაცვა და ბიზნეს-გარემოს ფორმირება, რაც დღესდღეისობით, სამწუხაროდ, საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს ან შეზღუდულია, რადგან სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზირებულია რამდენიმე კომპანიის მიერ. 2005 წელს ხელისუფლებამ გააუქმა ანტიმონოპოლიის კანონი, რომელიც პასუხობდა საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას. მისი ფუნქცია იყო კონკურენციის უზრუნველყოფა ბაზარზე და მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სარეკლამო სამსახურის კონტროლი, სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიტიკური კვლევა. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მაგივრად მიიღეს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომლის უფლებები შეზღუდულია და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ზემოთაღნიშნული კანონი აღარ არეგულირებს მონოპოლიურ საქმიანობას და არ ზღუდავს მას. შესაბამისად, სააგენტოს აღარ

ეხება, გააკონტროლოს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები, აკრძალოს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებები. კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ არეგულირებს სახელმწიფოსათვის დახმარებას, მიზნობრივ პროგრამებს და არ ეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, მას არ გააჩნია ბერკეტები ბაზარზე ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესაზღუდავად და ფაქტობრივად საკონსულტაციო დანიშნულებისაა. იმის მაგივრად, რომ მთავრობას გაეძლიერებინა ანტიმონოპოლიური სამსახური, პირიქით, შექმნა სხვადასხვა პროდუქციის იმპორტიორი მონოპოლისტები, რისი შედეგიც არის შესაბამის სეგმენტებზე ფასების ზრდა და პროდუქციის ხარისხის დაქვეითება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღარ ტარდება სასაქონლო, საფინანსო ბაზრების, საექსპორტო მონოპოლისტური სეგმენტების ანალიზი, რომელიც რეალური ვითარების ნათლად წარმოდგენის საშუალებას მოგვცემდა. ერთი შეხედვით თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა ხდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ნავთობპროდუქტები, ფარმაცევტული საქმიანობა, კომუნიკაციები (ინტერნეტი, მობილური) და სხვა. სწორედ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობის გამო ევროკავშირი და ევროკომისია თავიანთ დასკვნებში საქართველოს მთავრობას მიუთითებენ, რომ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს სამართლიან და თავისუფალ კონკურენტულ გარემოს, რაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის უგულებელყოფაა. გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, თუნდაც ევროკავშირში შესვლის გამო, არის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობის მიღება და რეალურად ამოქმედება ამავე სახელწოდების სამსახურისა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღ კონკურენციას ბაზარზე, მომხმარებლების მიერ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას და ფასისა და ხარისხის მრავალფეროვნებას.

საქართველოში ბიზნესისა და პოლიტიკის ურთიერთობა კანონმდებლობით ნაკლებადაა დარეგულირებული. პოლიტიკოსები არ

ერიდებიან ბიზნესმენობას და ამისათვის ყველა კარი ღია აქვთ, ასევე ბიზნესმენები ხვდებიან პოლიტიკაში თავიანთი ქონების ხარჯზე და ორივე საქმიანობას ერთმანეთს უთავსებენ, ჩნდება ლობიზმის ინსტიტუტები, გავლენის სფეროების ფლობის კავშირი პოლიტიკასთან, რაც ძირს უთხრის თავისუფალ ბიზნესს და საქართველოს ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირთან და მსოფლიოსთან. ამას ხელს უწყობს ახალი საგადასახადო კოდექსიც, რომელმაც დაუცველი დატოვა როგორც მეწარმე, ასევე ბიზნესის წარმომადგენლები. ამ კოდექსმა ისინი ჩინოვნიკების ნებასურვილზე დამოკიდებულნი გახადა, რადგან კოდექსის მრავალი ნორმა ბუნდოვანია და გაურკვეველი. ბიზნესმენს შეწერილი აქვს არაოფიციალური გადასახადებიც, რაც მეტყველებს მის დაუცველობაზე. აუცილებელია არსებული სიტუაციის შეცვლა, ბიზნესგარემოს ფორმირების პროცესში დაშვებული მთელი რიგი შეცდომების გამოსწორება, რომელთა აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში წარმატების მიღწევა. კერძოდ, უნდა შემუშავდეს შემდეგი რეგულაციები:

- სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, რომლითაც გარანტია ექნება მეწარმეს კაპიტალის უკან დაბრუნებისა;
- ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ბიზნესის სფეროში;
- ბიზნესი უნდა დარეგულირდეს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად;
- სახელწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციის განვითარებას, გააკონტროლოს შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება, დასაქმებისა და ინფლაციის საკითხი, დაიცვას ეკოლოგია;
- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, ახალი ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, განათლების განვითარებაზე;
- კანონმდებლობამ სტიმული უნდა მისცეს საფინანსო ინსტიტუტების, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას; სტაბილური

სამუშაო ადგილების შექმნას, ინფლაციებისა და უმუშევრობის შემცირებას; ასევე სხვა მაკროეკონომიკური პროცესების დარეგულირებას.

მსოფლიო ეკონომიკის მკვლევარები მიუთითებენ, რომ გლობალური ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია „ყველა ქვეყანამ გააცნობიეროს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა და აირჩიოს ის პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს გლობალურ ეკონომიკურ ზრდას და ფინანსურ სტაბილურობას" [E. Truman 2011 :1].

გლობალური ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეიძლება განვიხილოთ ევროკავშირის ფარგლებში არსებული კრიტერიუმების (უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და საგარეო ვალის მიმართება მშპ-თან) მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრების ხელშეწყობა და ცალკეული ქვეყნის მხრიდან აღნიშნული კრიტერიუმების დაცვის სავალდებულო ხასიათი. ამის მიღწევა შესაძლებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფარგლებში ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით, მისი დაცვის მიზნით სსფ-ს ყველა წევრი ქვეყნის მიერ ვალდებულების აღებით, ეკონომიკური რეფორმების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებითა და განხორციელებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გაფართოვდეს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (სსფ, ვმო) უფლებამოსილება, მოხდეს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანი კორდინაცია, აღებული ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა. უფრო მასშტაბური გლობალური მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მთელი რიგი წინააღმდეგობანი. გასათვალისწინებელია ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ტერიტორიულ-სამართლებრივი ინსტიტუტის, ინტერესებიც და მისი მიმართება გლობალური რეგულირების ახალ ინსტიტუტებთან.

2008 წლის ომმა და მისგან გამომდინარე ფინანსურმა კრიზისმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი.

„თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია,რაც მიიღწევა ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაციით ამ სფეროში მსოფლიოს ძირითად მოთხოვნებთან. ისტორიის გაკვეთილები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში უმუშევრობისა და შესაბამისად სიღარიბის დაძლევის ძირითადი გზა არის ინსტიტუციური რეფორმები, ინვესტიციური აქტიურობის გადიდება. ამ თვალსაზრისით ადგილობრივი კაპიტალის შესაძლებლობები მოკრძალებულია. ამიტომაც არის, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც მეტად რთული ამოცანაა, რადგანაც საქართველოს მცირე ოდენობით გააჩნია ის სტრატეგიულ ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი, გაზი), რომლებიც მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის. ამითაა მოტივირებული ის, რომ ქვეყანა მიმართავს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს იმ ქვეყნების გამოცდილებიდან, რომლებიც XX-ს 60-იანი წლებიდან განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩევიან“ [თ. შენგელია 2012: 7]. ამ ქვეყნებში თ. შენგელია გულისხმობს ,,აზიურ ვეფხვებს” _ ტაილანდი, სინგაპური, ჰონგკონგი, რომელთა ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიეს ღია ეკონომიკური პოლიტიკითა და მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შექმნით. ამდენად, ჩვენი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკური განვითარების დინამიზმის დასადგენად საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ეკონომიკური ინდექსები. ამ ინდექსებით ფასდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ისინი აჩვენებენ სხვადასხვა სახელმწიფოებს კონკრეტული ქვეყნის რეალურ პრობლემებს. ეს სახელმწიფოები აფასებენ ამ კონკრეტული ქვეყნის ბიზნესგარემოსა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. ამ ინდექსს ადგენენ საერთაშორისო სტრუქტურები სახელმწიფოს სტრუქტურებთან და სხვადასხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში. მის მიხედვითაც დგინდება ქვეყნებს შორის სხვადასხვაობა ეკონომიკური თავისუფლების ცალკეული ინდიკატორების მიხედვით. ფრეზერის ინსტიტუტის 2010 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მოხსენების მიხედვით, საქართველო წინა წელთან შედარებით

22 პოზიციით დაწინაურდა და 141 ქვეყანას შორის 23 ადგილზე (7,47 ქულით) იმყოფება. ეს აიხსნება შემდეგი ფაქტორებით: ქვეყანაში შემცირდა სახელმწიფო დანახარჯების წილი; მდგრად ვალუტაზე გაიზარდა ხელმისაწვდომობა (იგულისხმება ფულის მოცულობის ზრდა ეკონომიკაში და დაბალი ინფლაციის სტანდარტული გადახრა); გაიზარდა საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო ბარიერების, ბიზნესის რეგულირებისას შემცირდა ბიუროკრატიული დანახარჯები და მთელი რიგი პროცედურები, გამარტივდა ბიზნესის დაწყება და სხვა [http://germany.mfa.gov.ge/index.php?lang–id=GEO&sec–id= : 32].

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დადგენა (Heritage Foundation -ის მიერ) ხდება 10 მაჩვენებლით. ფასდება თავისუფლება 1.ბიზნესის; 2.ვაჭრობის; 3.ფისკალური თავისუფლება; 4. სახელმწიფოსგან თავისუფლება; 5. მონეტარული; 6.საინვესტიციო; 7. ფინანსური; 8. საკუთრების უფლება; 9.კორუფციისგან განთავისუფლება; 10. შრომის თავისუფლება.

Heritage Foundation–ის ინდექსის მიხედვით, ქვეყნები დაყოფილია 5 ჯგუფად: 1. თავისუფალი (80-100%); 2. უპირატესად თავისუფალი (70-79.9%); 3.ზომიერად თავისუფალი (60-69.9%); 4. უპირატესად არათავისუფალი (50-59.9%); 5. რეპრესიული (0-49.9%) [http://www.heritage.org/index/country/georgia : 51] .

2011 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა „ძირითადად თავისუფალი“ ქვეყნის სტატუსი, ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლების მთლიანი ინდექსი საქართველოში არის 70,4. აღნიშნული მაჩვენებლით იგი მსოფლიოში 29-ე, ხოლო ევროპის რეგიონის 43 ქვეყნიდან მე-11 ადგილზეა. მისი მთლიანი მაჩვენებელი (70,4) მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე (59,7) მაღალია [თ. შენგელია 2012 : 8].

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ ფონდის მიხედვით 183 ქვეყნის ეკონომიკის გრადაციაში ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით საქართველომ მსოფლიოში მე-16, ხოლო რეგიონში 1-ლი ადგილი უკავია.

ამავე ფონდის შეფასებით, ქვეყანაში ისევ ისე დაბალია ქვეყანაში კერძო საკუთრების დაცვის მაჩვენებელი. უცხოელი და ქართველი ინვესტორები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს ნაკლებად შეუძლია კერძო საკუთრებისა და კონტრაქტების დაცვა, ასევე ინტელექტუალური საკუთრების. ბიზნესის სიმარტივის მიხედვით საქართველო მე-7 ადგილზეა, თუმცა რამდენად შეინარჩუნებს ის ამ მდგომარეობას, ძნელი სათქმელია, რადგან დიდია რისკები პოლიტიკური თვალსაზრისით და შესაძლებელია ბიზნესის დაკარგვა. გაკოტრების სიხშირით საქართველო 109-ე ადგილზეა, რაც ჩვენი ეკონომიკის ნეგატიურ მხარეზე მეტყველებს.

ქართული ეკონომიკის დადებით მხარეს წარმოაჩენს კორუფციის კლება ქვეყანაში. მილენიუმის ათასწლეულის ცვლილებების პროგრამის მიხედვით, ქვეყანა აკმაყოფილებს კორუფციის კონტროლის მაჩვენებლებს. აშშ-ს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკვლევით გამოკითხული მოსახლეობის 95 % -მა დაადასტურა, რომ 2011 წელს მათ არ მიუციათ მოხელეებისთვის ქრთამი. მონაცემები არ იცვლება შემდგომ წლებშიც [საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, 2009 : 4]. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ორგანიზაციების მიერ შენიშნულია, რომ საქართველოში მაინც არსებობს კორუფცია და მას ელიტარული სახე აქვს. „გლობალური პატიოსნების“ ექსპერტის ნათანელ ელერის გამოკვლევის შედეგებით: „ საქართველოს კონტექსტში ამ პრობლემის გარკვეული ნიშნები მართლაც შეიმჩნევა,საზოგადოდ, მისი ერთ ერთი ნიშანი მჟღავნდება იმაში, რომ არ არის ის მექანიზმი, რომელიც მაღალი რანგის ჩინოვნიკს არ მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ გადადგომის შემდეგ წავიდეს იმ ბიზნესში, რომელსაც ის კურირებდა“ [საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, 2009: 78].

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შეფასება ეფუძნება ისეთ საერთაშორისო წყაროებს, როგორებიცაა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგი (Doing Business), გლობალური

კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) და მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსი (WJP).

2020 წლის კვლევების მიხედვით, „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ საქართველოს ქულაა 77,1. საქართველო მსოფლიო რეიტინგში დაწინაურდა და მე-12 პოზიციაზე გადავიდა. 2019 წელთან შედარებით საქართველო ევროპაში 2 პოზიციით წინ წავიდა და ევროპის 45 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა. 2020 წლის რეიტინგმა შეფასება მოახდინა ოთხი მიმართულებით: 1. კანონის უზენაესობის დაცვა, 2. მთავრობის მოცულობა, 3. რეგულაციების ეფექტურობა, 4. ღია ბაზარი. აღნიშნული მიმართულებები 12 კომპონენტისგან შედგება. ამ კომპონენტებიდან საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა 5 ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორებიცაა: საკუთრების უფლება (68.6 ქულა), მთავრობის სამართლიანობა (64.8 ქულა), სასამართლოს ეფექტურობა (57.9 ქულა), მონეტარული თავისუფლება (78.3 ქულა) და ფისკალური თავისუფლება (94.4 ქულა). საკუთრების უფლების ქულა მნიშვნელოვანი წარმატებაა ქვეყნისთვის, რადგან 2012 წელს ამ ინდიკატორში საქართველოს ქულა 40.0 იყო. გაუმჯობესდა მთავრობის სამართლიანობის კომპონენტშიც საქართველოს შეფასება. ამ კომპონენტის შეფასება ეყრდნობა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს“, მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსს (WJP), საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსს“ და „Trace Matrix”-ის რეიტინგს. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ საქართველოში კორუფციის ნაკლებობას და მთავრობის ეფექტურ საქმიანობას.

მონეტარული თავისუფლების ინდიკატორით ფასდება ქვეყანაში ინფლაცია ბოლო სამი წლის პერიოდით. ამ მხრივ საქართველო წინაა ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა: აშშ, იაპონია, ჩეხეთი, კორეა, გერმანია, ავსტრია, ნიდერლანდები, ფინეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი და ა.შ.

Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ 2020 წლის კვლევებით, ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. რეფორმების შედეგებია: კორუფციის აღმოფხვრა,

გადასახადების გამარტივება, რეგულაციების შემცირება. ამ ყოველივეს მოჰყვა ეკონომიკური თავისუფლების გაუმჯობესება და საქართველოს გაიზარდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. პოზიტიურად შეფასდა ის ქმედებებიც, რაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის გაკეთდა (იხ.http://www.economy.ge/?page=news&nw=1450).

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოს მიერ ინვესტიციური ნაკადების არასწორი რეგულაცია, რაც არ უზრუნველყოფს საქართველოში ბიზნესის სექტორში დასაქმებას. დაბალია ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობაც. დასაქმებულთა ხელფასის მაჩვენებელი საქართველოში ზოგადა ამერიკულის 3,5 %-ს შეადგენს. ანუ საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა საქართველოში აშშ-ზე 15-ჯერ დაბალია, ფასების დინამიკით კი საქართველო გაუტოლდა ევროპას და ზოგიერთი პროდუქციის ფასით კიდეც გაუსწრო. ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური საკითხია საარსებო მინიმუმი, რომელიც დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე და მას ვერ გამოიმუშავებს ქვეყანაში მაცხოვრებელთა უმრავლესობა, თუმცა დასაქმებულთა საშუალო ხელფასის რაოდენობა წლების განმავლობაში იზრდება: თუ 2014 წელს საქართველოს დასაქმებული მოქალაქის საშუალო ხელფასი დაახლოებით 800 ლარია, 2019 წლის ბოლოს მან 1400 ლარს მიაღწია (საქსტატი, კვარტალური ბიულეტენი 2020 : 19). ეს დასაქმებულთა საშუალო ხელფასია, საქართველოში კი ბინადრობენ დაუსაქმებელი, ასევე პერიოდულად დასაქმებული მოქალაქეები, რომელთაც საარსებო მინიმუმი უნდა გააჩნდეთ. ეს მინიმუმიც დროთა განმავლობაში იზრდება, თუ 2015 წელს საშუალოდ ის 142,7 ლარია, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმი 270, 2 ლარს შეადგენს, 2020 წლისათვის საარსებო მინიმუმი იზრდება 182, 6 ლარამდე, ხოლო ოჯახის საარსებო მინიმუმის 345, 7 ლარამდე (საქსტატი, კვარტალური ბიულეტენი 2020 : 67).

საქართველოში ინსტიტუციური რეფორმები გრძელდება და გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, ხელისუფლების მიერ გააზრებული თანმიმდევრული პოლიტიკა ეკონომიკის და

კერძოდ ბიზნესის დარგში გააუმჯობესებს ქვეყნის ზოგად მდგომარეობას და ხელს შეუწყობს მის წინსვლას.

დასკვნები

1. „ეკონომიკური ინტეგრაციის“ გავლენის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი სფერო ბიზნესია. ბიზნესის განვითარებამ ხელი შეუწყო „ეკონომიკური ინტეგრაციის“ პროცესს, ხოლო თავის მხრივ „ეკონომიკური ინტეგრაციის“ პროცესმა მთლიანად მოიცვა საგარეო ბიზნესი, რადგან საგარეო ბიზნესი ეს ის სეგმენტია, რომელიც კონტაქტური ველის მაქსიმალური გაფართოებისაკენ მიისწრაფის და ცდილობს არ შემოიფარგლოს ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი ბიზნესს წარმართავს საერთაშორისო ოპერაციების განხორციელებისკენ. კომპანიები აღარ მოქმედებენ მხოლოდ თავისი ქვეყნის ფარგლებში და ნებისმიერ ბიზნესოპერაციას აწარმოებენ იმ ქვეყნებში, რომლებშიც სურთ (ბიზნესკონიუნქტურის გათვალისწინებით). საერთაშორისო ვაჭრობის, ინვესტიციების და ტექნოლოგიების განვითარება სწორედ საერთაშორისო ბიზნესში მონაწილე კომპანიების ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული.

2. „ეკონომიკური ინტეგრაციის“ საფუძვლიანი კვლევისათვის საჭიროა დინამიკაში იქნეს შესწავლილი საგარეო ეკონომიკური კონცეფციები და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სკოლები. სტრუქტურული კონცეფციის, ინსტიტუციური სკოლის, ინტეგრაციის ტრანსაქციული კონცეფციის, საბაზრო და საბაზრო-ინსტიტუციონალური სკოლის, ნეოკეინსიანელთა, დირიჟიზმის წარმომადგენელთა, ფუნქციონალიზმისა და ნეოფუნქციონალიზმის სკოლის იდეებმა საშუალება მოგვცა „ეკონომიკური ინტეგრაციის“ ძირითადი ნიშნების გამოყოფის. ესენია:

- ინტეგრაცია არის ფირმის ისეთი შინაგანი ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება არასაბაზრო ურთიერთობების დომინირებით;

- ეს არის შეგნებული, ნებაყოფლობითი კოოპერაცია, მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ვლინდება შიდაფირმულ კონტრაქტებში და არ წარმოადგენს ბაზრის საფასო მექანიზმის მოქმედების შედეგს; ის ეფუძნება მონაწილეთა მიზნების, მოქმედებების, ეკონომიკური ინტერესების ურთიერთშეთანხმებას.
- ამ ინტეგრაციის მთავარი ასპექტი არის მართვა, ანუ შინაგანი მექანიზმები თვითგანვითარების რეზერვებისა და ეკონომიკური ინსტიტუტების ევოლუციის სიმბიოზს წარმოადგენს.

3. თავისი ზოგადი მნიშვნელობით საერთაშორისო ბიზნესი ეწოდება საქმიან ოპერაციებს, რომლებიც ცდება ეროვნულ საზღვრებს. საერთაშორისო ოპერაციების მართვა წარმოადგენს საერთაშორისო მენეჯმენტს, რომელიც ყველაზე სრულყოფილი სახით ჩამოყალიბდა საერთაშორისო კომპანიებში, ამიტომ მას ხშირად აიგივებენ საერთაშორისო მენეჯმენტის ზოგად სისტემასთან.

კაპიტალის ეროვნული კუთვნილების მიხედვით, საერთაშორისო კომპანიები იყოფა ტრანსნაციონალურ (სათავო კომპანია ერთი ქვეყნის კაპიტალს ეკუთვნის, ხოლო ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაშია გაბნეული) და მრავალეროვნულ (სათავო კომპანია ეკუთვნის ორი ან მეტი ქვეყნის კაპიტალს, ხოლო ფილიალები ასევე მოქმედებს სხვადასხვა ქვეყანაში) კომპანიებად. გლობალურს უწოდებენ ისეთ კომპანიებს, რომლებიც ქმნიან გლობალურ საწარმოო ქსელებს. ისინი სთავაზობენ მთელ სამყაროს სტანდარტიზირებულ პროდუქტებს და თავიანთი ბიზნესის სტანდარტიზაციას ახდენენ.

4. მთელი რიგი ნიშნებით საერთაშორისო ბიზნესი თვისობრივად განსხვავდება საქმიანი ოპერაციებისგან, რომლებიც ერთი ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება და რომელსაც ნაციონალური ბიზნესი ჰქვია. საერთაშორისო ბიზნესი ქვეყნების უპირატესობების გამოყენებით აფართოებს ბიზნესის მიზნობრივ ჰორიზონტებს და ამდიდრებს მათი მიღწევის საშუალებების არსენალს.

5. საერთაშორისო ბიზნესის მიზნებია:1. **ახალი ბაზრების მოძიება და ათვისება** 2. **ეფექტური რესურსების მოძიება და გამოყენება.** საერთაშორისო ბიზნესის არსობრივი ფორმებია: **საგარეო ვაჭრობა საქონლითა და მომსახურებით** და

საერთაშორისო ინვესტიციები. ხოლო საორგანიზაციო ფორმებია: **ლიცენზირება, ერთობლივი საწარმოების შექმნა** და **ალიანსების ჩამოყალიბება.** საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ძირითადი ფაქტორები და ტენდენციებია შემდეგი: უცხოეთში ნედლეულის მოპოვება და პლანტაციური მეურნეობების შექმნა, ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის მრავალეროვან ბიზნესად ქცევა, ცვლილებების ვაჭრობისა და ინვესტირების პირობებში: საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება, სავაჭრო და საინვესტიციო რეჟიმების ლიბერიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების უზრუნველყოფა და საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკურ რესურსებზე წვდომის გაზრდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ ამა თუ იმ საერთაშორისო სტრატეგიის არჩევაზე გავლენას ახდენს, პირველ რიგში, გარემოს (საერთაშორისო) ფაქტორები. სწორედ ის უზრუნველყოფს დამატებით მახასიათებლებს, რომლებიც უნდა შეფასდეს. სტრატეგიული აზროვნების პრინციპულ დამახასიათებელი თვისებად ითვლება ფირმების საქმიანობის საგარეო მხარეზე კონცენტრაცია, ბაზარზე საუკეთესო სტრატეგიული პოზიციის მიღწევა. სტრატეგიის არჩევის კიდევ ერთი მთავარი ფაქტორი კი კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაა, რომელიც აუცილებელი და საკმარისია საერთაშორისო მიზნების რეალიზაციის თვალსაზრისით.

6. საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკურ გარემოზე, რომელიც მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ასპარეზზე გამოჩნდნენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები და ასევე აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები. ისინი თანდათან ვითარდებიან. იზრდება აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (კორეა, სინგაპური, ტაივანი და ჰონკონგი) და ე.წ. „მეორე ტალღის“ ქვეყნების (როგორებიცაა ტაილანდი, ინდონეზია, მალავიზია) აქტივობა მსოფლიო ბაზარზე. შესაბამისად ტრანსფორმმაციას განიცდის ტრანსნაციონალური კორპორაციების

დამოკიდებულება ამ ქვეყნებისა და მათი ბაზრებისადმი; იზრდება კონკურენტუნარიანობაც.

ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტის მიზანი ახალი, მზარდი ბაზრების ათვისების სტრატეგია ხდება, რასაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეკონომიკურ გარემოთა სხვაობა. ამიტომ ყოველი ქვეყნისადმი ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო, მათზე ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული ამ ქვეყნების მხრიდან ინფორმაციის შეგნებულად დამახინჯების გამო.

7. საერთაშორისო ბიზნესგარემოს შესწავლაში ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რისკების შეფასება. გარემოს ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის თვალსაზრისით გამოიყოფა რისკების შემდეგი ჯგუფები: ბუნებრივი, ტექნიკური, პოლიტიკური, ზოგჯერ _ სოციალურ-პოლიტიკური. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება კომპანიის საკუთრების ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციის საფრთხე, ომები, მათ შორის _ სამოქალაქო, სახელმწიფოს დესტრუქციული ქმედებები (სავაჭრო ბარიერების შემოღება), მოგებაზე რეპატრიაციის შეზღუდვების შემოღება, დისკრიმინაციული საბაჟო პოლიტიკის გატარება.

რისკების შეფასება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების მიერ სტრატეგიული ალტერნატივების შერჩევაზე. რისკების შემცირება შესაძლებელია მიუღებელი ქვეყნების გაცხრილვით, სხვა ფირმებთან აქტივების განაწილებით, ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით, რამდენიმე ქვეყანაში აქტივების განაწილებით.

8. ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის არსებობა, რაც სასიცოცხლოა საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის; აქედან გამომდინარე, დღევანდელ რეალობაში დიდი როლი უნდა მიენიჭოს ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რომლის დანიშნულებაა კონკურენციის დაცვა და სტიმულირება.

საქართველოს ევროინტეგრაციის აუცილებელი პირობაა თავისუფალი კონკურენციის დაცვა და ბიზნეს-გარემოს ფორმირება, რაც დღესდღეისობით,

სამწუხაროდ, საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს ან შეზღუდულია, რადგან სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზირებულია რამდენიმე კომპანიის მიერ.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მაგივრად საქართველოში მიიღეს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომლის უფლებები შეზღუდელია და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ზემოთაღნიშნული კანონი აღარ არეგულირებს მონოპოლიურ საქმიანობას და არ ზღუდავს მას.

საქართველოში ბიზნესისა და პოლიტიკის ურთიერთობა კანონმდებლობით ნაკლებადაა დარეგულირებული. ლობიზმის ინსტიტუტები, გავლენის სფეროების ფლობის კავშირი პოლიტიკასთან ძირს უთხრის თავისუფალ ბიზნესს და საქართველოს ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირთან და მსოფლიოსთან. ამას ხელს უწყობს ახალი საგადასახადო კოდექსიც, რომელმაც დაუცველი დატოვა როგორც მეწარმე, ასევე ბიზნესის წარმომადგენლები. ამ კოდექსმა ისინი ჩინოვნიკების ნებასურვილზე დამოკიდებულნი გახადა, რადგან კოდექსის მრავალი ნორმა ბუნდოვანია და გაურკვეველი.

საქართველოში აუცილებელია არსებული სიტუაციის შეცვლა, ბიზნესგარემოს ფორმირების პროცესში დაშვებული მთელი რიგი შეცდომების გამოსწორება, რომელთა აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში წარმატების მიღწევა. კერძოდ, უნდა შემუშავდეს შემდეგი რეგულაციები:

- სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, რომლითაც გარანტია ექნება მეწარმეს კაპიტალის უკან დაბრუნებისა;
- ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ბიზნესის სფეროში;
- ბიზნესი უნდა დარეგულირდეს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად;

- სახელწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციის განვითარებას, გააკონტროლოს შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება, დასაქმებისა და ინფლაციის საკითხი, დაიცვას ეკოლოგია;
- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, ახალი ტექნოლოგიების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, განათლების განვითარებაზე;
- კანონმდებლობამ სტიმული უნდა მისცეს საფინანსო ინსტიტუტების, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას; სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნას, ინფლაციებისა და უმუშევრობის შემცირებას; ასევე სხვა მაკროეკონომიკური პროცესების დარეგულირებას.

8. ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დადგენა (Heritage Foundation - ის მიერ) ხდება 10 მაჩვენებლით. ფასდება თავისუფლება 1.ბიზნესის; 2.ვაჭრობის; 3.ფისკალური თავისუფლება; 4. სახელმწიფოსგან თავისუფლება; 5. მონეტარული; 6.საინვესტიციო; 7. ფინანსური; 8. საკუთრების უფლება; 9.კორუფციისგან განთავისუფლება; 10. შრომის თავისუფლება.

9. 2011 წელს მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ ფონდის მიერ ჩატარებული გამოკვლევით, 183 ქვეყნის ეკონომიკის გრადაციაში ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით საქართველომ მსოფლიოში მე-16, ხოლო რეგიონში 1-ლი ადგილი დაიკავა. ამავე ფონდის შეფასებით, ქვეყანაში ისევ ისე დაბალია ქვეყანაში კერძო საკუთრების დაცვის მაჩვენებელი, სასამართლოს ნაკლებად შეუძლია კერძო საკუთრებისა და კონტრაქტების დაცვა, ასევე ინტელექტუალური საკუთრების. დიდია რისკები პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რამაც შესაძლებელია ბიზნესის დაკარგვა გამოიწვიოს. გაკოტრების სიხშირით საქართველო 109-ე ადგილზეა, რაც ჩვენი ეკონომიკის ნეგატიურ მხარეზე მეტყველებს.

10. ქართული ეკონომიკის დადებით მხარეს წარმოაჩენს კორუფციის კლება ქვეყანაში. მილენიუმის ათასწლეულის ცვლილებების პროგრამის მიხედვით, ქვეყანა აკმაყოფილებს კორუფციის კონტროლის მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ორგანიზაციების მიერ შენიშნულია, რომ საქართველოში მაინც

არსებობს კორუფცია და მას ელიტარული სახე აქვს. მისი ერთ ერთი ნიშანი მჟღავნდება იმაში, რომ არ არის ის მექანიზმი, რომელიც მაღალი რანგის ჩინოვნიკს არ მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ გადადგომის შემდეგ წავიდეს იმ ბიზნესში, რომელსაც ის კურირებდა.

11. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოს მიერ ინვესტიციური ნაკადების არასწორი რეგულაცია, რაც არ უზრუნველყოფს საქართველოში ბიზნესის სექტორში დასაქმებას. დაბალია ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობაც. ქვეყანაში ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური საკითხია საარსებო მინიმუმი, რომელიც დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე და მას ვერ გამოიმუშავებს ქვეყანაში მაცხოვრებელთა უმრავლესობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, ტბილისი, 2001;
2. ერქომაიშვილი გ. მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, 2004;
3. „მემორანდუმი“ [ისტორიული დოკუმენტი], კრებულში: საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო ი. ტაბაღუამ, თბილისი 1975;
4. პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002;
5. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბილისი, 2007;
6. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, 2009 წ.
7. საქსტატი (სტატისტიკის ეროვნული სამსახური), კვარტალური ბიულეტენი, 2020, www. geostat.ge
8. შენგელია თ. გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის გარემო საქართველოში, კრებ. „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“, თბილისი, 2012.
9. Мисько О., Международная экономическая интеграция.Спб.2015.
10. Daniels J.D., Radebaugh L.H., Sullivan D.P. International Business: Environment
11. and Operations. N.J.: Pearson Education Upper Saddle River, 2009.
12. McKinsey A. Global Survey, An Executive Take on the Top Business Trends – www.mckinseyqurterly.com.article_print.aspx?l2=21&L3=114&ar=1754
13. Multinationals Come Into Their Own//Financial Times.2000.December 6.
14. Rugman A.M., Verbeke A. A Perspective on Regional and Global Strategies of Multinational Enterprises // Journal of International Business Studies. 2004. № 35.

15. Пасек Н., Торнайли Д. Развивающиеся рынки. Уроки успешной деятельности и
16. перспективы развития различных рынков. М.: ЗАО «Олимп-Бизнес», 2006.
17. 14. Truman E. G-20 reforms of the International monetary System: An Evalution, November, 2011;
18. 15. WTO. World Trade Report 2008. P. xviii–xix, 84.
19. 16. http://germany.mfa.gov.ge/index.php?lang–id=GEO&sec–id=
20. 17. http://www.heritage.org/index/country/georgia
21. http://www.economy.ge/?page=news&nw=1450